პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 1951 წ. № 297 (9151). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ამომრჩეველთა მაღალი აქტივობით მიმდინარეობს მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
ყოველდღიურად ვიზრუნოთ პარტიული განათლების დონის ამაღლებისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი — „პრავდის“ 19-XII მოწინავე (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში (მე-2 გვერდი).
ე. მესხიშვილი — სულხან ცინცაძის მესამე კვარტეტი (მე-3 გვერდი).
ბ. ფურცხვანიძე — საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიული სასამართლოა მსოფლიოში (მე-[illegible] გვერდი).
ზამთრის სამუშაოებს — [illegible] რულებენ (მე-3 გვერდი).
უშიშროების საბჭოს სხდომა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა

შესანიშნავი წარმატებებით ამთავრებენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები. ამ წარმატებებში სერიოზული წვლილი შეიტანეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა. საკოლმეურნეო წყობილებამ შექმნა ფართო შესაძლებლობა მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის. **„კოლმეურნეობების უდიდესი მნიშვნელობა,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **სწორედ ის არის, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბაზას მანქანებისა და ტრაქტორების გამოსაყენებლად მიწათმოქმედებაში, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბაზას გლეხის გარდასაქმნელად, მისი ფსიქოლოგიის გადასამუშავებლად პროლეტარული სოციალიზმის საფუძველზე“.**

მანქანა-ტრაქტორთა სადგური წამყვან ძალად გადაიქცა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. საქართველოს მტს-ები აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იღებენ ახალ ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სარემონტო სახელოსნოების მოწყობილობას, დანადგარებსა და მასალებს. სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა ღირსებისა და სახელის საქმეა სრული დატვირთვით გამოიყენონ ტრაქტორები, კომბაინები, უზრუნველყონ მანქანების შეუფერხებელი მუშაობა. ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენებაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლის შემდგომი გადიდება. მომავალ წელს მტს-ებს გაცილებით მეტი სამუშაო აქვთ შესასრულებელი, ვიდრე წელს შეასრულეს. ეს მდგომარეობა ამთავითვე უნდა გავითვალისწინოთ და დროულად, მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ ტრაქტორები, კომბაინები, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ სანიმუშოდ შევასრულოთ საზამთრო რემონტის გეგმა?

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ სარემონტო სახელოსნოებში სწორად მოვაწყოთ შრომა, განვამტკიცოთ დისციპლინა. მტს-ებში ფართოდ უნდა დაინერგოს ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის ახალი, კვანძური მეთოდი. ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ მნიშვნელოვნად ადიდებს რემონტზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს იმ დროს, რაც რემონტზე იხარჯება, აუმჯობესებს ხარისხს.

მთელ რიგ მტს-ებში მზად არ არიან რემონტის კვანძურ მეთოდზე გადასასვლელად. ამის შედეგია, რომ კაჭრეთის, დიღმის, ხაშურის, გორის, ზესტაფონის, გალისა და მარნეულის მტს-ებში ტრაქტორების რემონტი არასაკმაოდ არის გაშლილი. შეუწყნარებელია, რომ ახმეტის, აგარის, ახალქალაქის, დმანისის, ასურეთის, სტალინირისა და ჩხოროწყუს მტს-ებს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში არც ერთი ტრაქტორი არ გამოუშვიათ რემონტიდან.

მტს-ებს ჰყავთ რემონტის კვანძური მეთოდის მცოდნე მუშაკები. წელს აგვისტოსა და სექტემბერში მტს-ებში უფროსი მექანიკოსების, სარემონტო სახელოსნოების გამგეებისა და კონტროლიორ-მექანიკოსებისათვის მოეწყო სემინარი რემონტის ახალი ტიპიური ტექნოლოგიის შესასწავლად. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოწოდებულია მოაწყოს ამ კადრების სწორი გამოყენება, უფრო კონკრეტული, ქმედითი დახმარება გაუწიოს მტს-ებს ამ საქმეში და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას კვანძური მეთოდის საფუძველზე.

ზრუნვა სარემონტო სახელოსნოებს სრულ წესრიგზე მოყვანისათვის მტს-ების მუშაკთა დიდმნიშვნელოვანი საქმეა. სახელოსნო უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათბობით და საწვავი მასალით. რემონტზე მომუშავეებს უნდა ჰქონდეთ სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, ინსტრუმენტების საჭირო რაოდენობა. „გლავავტოტრაქტორსბიტის“ საქართველოს კანტორა მოვალეა უზრუნველყოს ტრაქტორებისა და კომბაინების სათადარიგო ნაწილების თავის დროზე შემოზიდვა და მათი მიწოდება მტს-ებისათვის.

გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რემონტის ხარისხს. საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასტიკი კონტროლი დააწესონ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების რემონტის ხარისხისადმი. გვახსოვდეს, რომ ხარისხისათვის, უწინარეს ყოვლისა, პასუხს აგებენ მტს-ების დირექტორები, უფროსი ინჟინრები და უფროსი მექანიზატორები.

მტს-ებს რემონტის საქმეში დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა. მრავალ საწარმოს ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს. პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ ამ გამოცდილების უნარიანი გამოყენებით უნდა უზრუნველვყოთ საშეფო კავშირის უფრო განმტკიცება საწარმოებსა და მტს-ებს შორის.

საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მტს-ების მუშაკთა შორის. ამ მუშაობის ცენტრი უნდა გადავიტანოთ სარემონტო სახელოსნოებში, სადაც წყდება რემონტის გეგმის შესრულების ბედი. აუცილებელია მტს-ების პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა იზრუნონ იმისათვის, რომ რემონტზე მომუშავეებს ჰქონდეთ ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, სარემონტო სახელოსნოებთან მოწყობილი იყოს კარგი საერთო საცხოვრებელი, სასადილო, სამკითხველო, წითელი კუთხე, სადაც ტრაქტორისტს, კომბაინერსა თუ მექანიკოსს საშუალება ექნება კულტურულად დაისვენოს: წაიკითხოს ახალი გაზეთი, მოუსმინოს რადიოს, მოხსენებებსა და ლექციებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას რემონტზე მომუშავეთა შორის. სადაც მტს-ების პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას და კონკრეტულად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, იქ შედეგიც საუკეთესოა. ლაგოდეხის, აფენის, თელეთის, ქუთაისის მტს-ებმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა მიმდინარე წლის გეგმები. პირველი წარმატებები მიღწეულია რემონტის დარგშიც. მაგალითად, თელეთის მტს-ში საზამთრო რემონტისათვის მზადება ჯერ კიდევ ზაფხულიდანვე დაიწყეს. აქ გულდასმით მოიფიქრეს რემონტის ტექნოლოგიური სქემა, სწორად გაანაწილეს ძალები, სამუშაო მოწყობილობა, მომუშავეებად შეარჩიეს მაღალკვალიფიციური მექანიზატორები, შრომის ორგანიზაციას საფუძვლად დაუდეს კვანძური მეთოდი. ამიტომ თელეთის მტს-მა 15 დეკემბრისათვის 90,5 პროცენტით შეასრულა ტრაქტორების რემონტის მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის გეგმა, ხოლო წლიური დავალება განაღდებული აქვს 54 პროცენტით. წინ მიდიან აგრეთვე წითელწყაროს, გამარჯვების, აბაშისა და სხვა მტს-ები.

სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საქმეში საბრძოლო ამოცანაა დასახული ბოლშევიკური პრესის მუშაკთა წინაშე. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები მოწოდებული არიან ამთავითვე სისტემატურად, ღრმად მოაწყონ რემონტზე მომუშავე მოწინავე ადამიანების გამოცდილების ჩვენება, ამასთანავე დროულად გამოავლინონ ნაკლოვანებანი, მოურიდებლად გააკრიტიკონ ის მუშაკები, რომელთა დაუდევრობით ბრკოლდება რემონტის საქმე.

ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების დროული და მაღალხარისხოვანი რემონტი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა. გავაძლიეროთ რემონტის ტემპი, დავრაზმოთ ძალები ამ ამოცანის სასახელოდ გადაჭრისათვის!

ამომრჩეველთა მაღალი აქტივობით მიმდინარეობს მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

★

შეხვედრა კანდიდატებთან

ამ დღეებში განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობაა სახალხო სასამართლოს არჩევნების ქ. თბილისის ბერიას რაიონის № 20 და № 21 საარჩევნო პუნქტებში. აგიტატორები და აქტივისტები ყოველ საღამოს აწყობენ საუბრებს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატების შრომითი საქმიანობის, სამშობლოს წინაშე მათი დამსახურების შესახებ.

ამას წინათ აქ გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებთან. ამხანაგებმა დანოვსკაიამ, შეროზიამ, აგაჯანოვმა, კამკამიძემ და სხვებმა დამსწრეებს მოუთხრეს იმ შრომით-აღმავლობაზე, რითაც რაიონის მშრომელები ხვდებიან სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეს. ამასთან მათ დაახასიათეს სახალხო მსაჯულების კანდიდატების მ. კილაძის, ბ. ელიავას, გ. კვაჭაძის, მ. ქალდანის, ა. ხოჯამიროვას, ი. ჩაჩიბაიას, გ. ბურდულაძის, ა. დუმბაძის, ნ. გიორგობიანის, ი. ათანელიშვილის, რ. ერისთავის, რ. ჩინჩალაძის და სხვათა შრომითი საქმიანობა. მათ მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა სახალხო მოსამართლის კანდიდატი ამხ. ლ. კოხრეიძე, რომელმაც ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ კვლავაც მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარს სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების, სოციალისტური კანონიერების ურყევად გატარების საქმეს და გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

გაამართლებენ ხალხის ნდობას

ბათუმი. (საკ. კორ.). მასწავლებლის სახლში მოეწყო ქალაქ ბათუმის 1-ლი საარჩევნო ოლქის სტალინის, შაუმიანის და ნინოშვილის საარჩევნო პუნქტების ამომრჩეველთა შეხვედრა სახალხო მოსამართლის კანდიდატ სერგო იოსების-ძე სირაძესთან და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო სასამართლოების არჩევნების 1-ლი საარჩევნო ოლქის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ვლადიმერ შარაშიძემ.

მოხსენება — „სახალხო სასამართლოების არჩევნები საბჭოთა კავშირში“ — გააკეთა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელმა ქ. ფოცხიშვილმა.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ამომრჩევლებმა ეკატერინე პოლიადმა, მარიამ გუსევამ, ვ. ცინცაძემ, მ. თხილაიშვილმა და სხვ.

დასასრულ სიტყვებით გამოვიდნენ სახალხო მოსამართლის კანდიდატი ამხ. სერგო იოსების-ძე სირაძე და სახალხო მსაჯულის კანდიდატი ეკატერინე მამფორია, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ამომრჩევლებს გულთბილი შეხვედრისათვის და პირობა მისცეს მათ, რომ გაამართლებენ ხალხის ნდობას.

★ ★ ★

საარჩევნო პუნქტებში გაცხოველდა მუშაობა

ქ. თბილისის სტალინის რაიონის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან სახალხო სასამართლოებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებისათვის. რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო ძლიერდება მასების შრომითი აქტივობა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

არჩევნებთან დაკავშირებით რაიონის მოსახლეობაში აგიტაციას ეწევა 2.311 აგიტატორი. ყველგან სანიმუშოდ არის გაფორმებული და მოწყობილი საარჩევნო პუნქტები, სადაც ყოველდღიურად მორიგეობენ აგიტატორები. განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ამომრჩევლებთან აგიტატორები ქეთევან საყვარელიძე, ი. ვაშაკიძე, მ. დოლიძე და სხვები. ამ აგიტატორთა მოხსენებები და საუბრები მიმზიდველია. ისინი ამომრჩევლებს ესაუბრებიან არა მარტო სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების საზოგადოებრივ საქმიანობაზე, არამედ განუმარტავენ მათ საბჭოთა სახალხო სასამართლოების როლს საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საარჩევნო პუნქტებში პროპაგანდისტთა საუკეთესო ძალებით მოეწყო ლექციები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის: „საბჭოთა სასამართლო მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სასამართლოა“ „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“, „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ და სხვ.

რაიონის ყველა საარჩევნო პუნქტში მოეწყო ამომრჩეველთა შეხვედრები სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებთან. სიტყვებით გამოსული ამომრჩევლები თავიანთი კანდიდატებისაგან მოითხოვდნენ, რომ მათ ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ სოციალისტური კანონიერების ურყევად გატარებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, მექრთამეთა წინააღმდეგ. ამავე დროს ამომრჩევლები თავიანთი კანდიდატებისაგან მოითხოვდნენ, რომ მათ თავიანთ მუშაობაში გაითვალისწინონ მშრომელთა საჭიროებანი, მტკიცედ დაიცვან კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული უფლებები.

საარჩევნო პუნქტებში ამომრჩეველთა აქტივის მონაწილეობით გამოშვებულია არჩევნებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები.

მეშახტეები ახალ წარმატებებს აღწევენ

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). სახალხო სასამართლოების არჩევნების № 1 საარჩევნო ოლქში შექმნილია 9 საარჩევნო პუნქტი. შახტებში, მშენებლობებზე და საარჩევნო პუნქტებში ამომრჩეველთა შორის 800-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში საარჩევნო პუნქტები სააგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრი გახდნენ. კარგად მუშაობს ქალაქის ცენტრალური საარჩევნო პუნქტის აგიტკოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს „ტყვარჩელშახტმშენის“ ტრესტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. მიკულა. იგი უნარიანად წარმართავს ქვანახშირის გასაღების, მე-2 რუსული საშუალო სკოლის და საქალაქო საბჭოს აღმასკომის პარტიული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი 70 აგიტატორის მუშაობას, სისტემატურად აწყობს მათთს სემინარებს და სხვ.

საარჩევნო პუნქტი მიმზიდველად არის გაფორმებული. აქ უშვებენ კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმას“; მორიგე აგიტატორები ამომრჩევლებს ესაუბრებიან სახალხო სასამართლოს შემადგენლობაში დასახელებული კანდიდატების, არჩევნების დებულებისა და კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ. აგიტატორებმა ა. კაკაბაძემ, მ. აშუბამ და გ. ხრისტენკომ თავიანთ მსმენელებს გააცნეს სახალხო მოსამართლის კანდიდატის მ. ბიგვავას და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების ნ. ხაჭაპურაძის, ვ. ქიტნიკოვის, დ. ტაბატაძის, ლ. ტყებუჩავას და სხვათა შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორები, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები შახტებში, საარჩევნო პუნქტებში და მშენებლობებზე სისტემატურად კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს თემებზე: „ლენინი და სტალინი სოციალისტური კანონიერების შესახებ“, „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი“, „საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითი როლი“, „საბჭოთა სასამართლო მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სასამართლოა“ და სხვ.

ქვანახშირისა და ენერგეტიკის ქალაქის — ტყვარჩელის მშრომელები სახელოვანი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან არჩევნებს. მეშახტეები ქვანახშირს იძლევიან მომავალი წლის ანგარიშში. ენერგეტიკოსებმა ელექტროენერგიის გამომუშავების ნოემბრის გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. ისინი წარმატებით მუშაობენ დეკემბრის გეგმის არჩევნების დღემდე შესასრულებლად.

ერთსულოვნად მისცემენ ხმას დასახელებულ კანდიდატებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა შეხვედრა მოუწყეს ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატს ამხ. ალექსანდრე გიორგის-ძე იობიძეს.

შეხვედრისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მაჩიტაძემ.

სიტყვით გამოსულმა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა შ. მიქაბერიძემ სახალხო მოსამართლის კანდიდატი დაახასიათა როგორც ენერგიული და თავისი საქმის კარგი მცოდნე. ორატორმა განაცხადა, რომ ამხ. იობიძე გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, მტკიცედ იდგომება საბჭოთა მართლმსაჯულების სადარაჯოზე.

ელექტროსამქროს უფროსმა ი. გიორგაძემ აღნიშნა, რომ ახალი გამარჯვებით შეხვდება არჩევნების დღეს და მთელ კოლექტივთან ერთად ერთსულოვნად მისცემს ხმას სახალხო სასამართლოს შემადგენლობაში დასახელებულ კანდიდატებს.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ქარხნის საგეგმო განყოფილების გამგემ მ. კვერნაძემ, ინჟინრებმა ვ. გოგისვანიძემ და სხვ.

დასასრულ ამხ. იობიძემ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს.

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცის საამქრომ 13 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა, დაზოგა 484 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და მნიშვნელოვნად შეამცირა თვითღირებულება.

საამქროს კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი.

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური, სამსხმელო და კირის დამამზადებელი საამქროს კოლექტივებმა წლიური გეგმები 15 დეკემბრისათვის შეასრულეს.

სარემონტო-მექანიკურ საამქროში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 11 თვეში მილიონ მანეთზე მეტი დაზოგეს. ნოემბერსა და დეკემბერში საამქრო სისტემატურად დროზე და მაღალხარისხოვნად ასრულებს მეტალურგიული ქარხნის სხვადასხვა საამქროებისა და ბულაჩაურის წყალსადენის მშენებელთა შეკვეთებს.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ „საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობებისა და კონფერენციების“ ბიბლიოთეკის სერიით გამოუშვა ა. კოსტინის წიგნის „საკავშირო კ. პ. (ბ) მეთექვსმეტე ყრილობის“ მეორე, შევსებული გამოცემა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობა, რომელიც 1930 წელს გაიმართა, ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც მთელი ფრონტით სოციალიზმის გაშლილი შეტევის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა.

წიგნი მოგვითხრობს, თუ რა ძირეული ცვლილებები მოხდა სსრ კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე, მოგვითხრობს პარტიის მეთექვსმეტე ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებათა შესახებ, ყრილობისა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

იმავე ბიბლიოთეკის სერიით გამოვიდა მ. პანტელეევის ბროშურა „რსდმპ მეოთხე კონფერენცია („მესამე სრულიად რუსეთისა“)“. ბროშურა აგვიწერს, თუ რა ვითარება იყო ჩვენს ქვეყანაში რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ შემუშავებულ ბოლშევიკების ტაქტიკას სტოლიპინის რეაქციის პერიოდში.

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბიბლიოთეკის — „მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად“ სერიით გამოუშვა ბროშურები ი. რიაბცევისა „მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შემუშავება ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ“ და ა. ტიმოფეევსკისა „ლენინი და სტალინი მარქსისტული პარტიის ტაქტიკური საფუძვლების შესახებ“.

მასობრივი ტირაჟით გამოიცა მ. სტეპანოვის წიგნი „ბოლშევიკების პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი“. (საქდესი).

სტალინგრადის არხის ზონის ფაუნის გარდაქმნა

ალმა-ატა, 18 დეკემბერი. (საქდესი). ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი შეუდგა სტალინგრადის არხის ზონის საექსპედიციო გამოკვლევათა საფუძველზე ვოლგა-ურალის შუამდინარეთის ფაუნის რეკონსტრუქციის პროექტის დამუშავებას.

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ კამიშ-სამარის ტბებში, რომლებიც მდებარეობს ზონის ცენტრში, ჩვიდმეტი სახეობის თევზია, მათ შორის კობრი, ფარგა, ქარიყლაპია, ჰერეხი, კაპარჭინა და სარეწაო მნიშვნელობის სხვა თევზი. ახლა ამ ტბების თევზი გამოუყენებელია. პროექტით გათვალისწინებულია ტბების ფაუნის შეცვლის გზები, ძვირფასი ჯიშის თევზის სარეწთა შექმნა.

სტალინგრადის არხის ზონის ფაუნის გარდაქმნის პროექტი ითვალისწინებს სასარგებლო ცხოველთა და ფრინველთა შემდგომი გამრავლების ღონისძიებებს. კერძოდ, აქ შენარჩუნებულ იქნება მელა, მოხდება ენოტისებრი ძაღლისა და სხვა იმ ცხოველების აკლიმატიზაცია, რომლებიც მავნე მღრღნელებს სპობენ. შემუშავებულია ვოლგა-ურალის შუამდინარეთის შავი ძერას, ველის არწივისა და სხვა სასარგებლო ფრინველთა შენარჩუნების ღონისძიებანი.

ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის 20 წლისთავი

მიჩურინსკი, 17 დეკემბერი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ოცი წლის მანძილზე ინსტიტუტის სამეცნიერო და საწარმოო საქმიანობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა ი. ვ. ბელოხონოვმა.

ხვალ გაიმართება ინსტიტუტის ნაშრომებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

ბოლშევიკი მწერლის ნ. ა. ოსტროვსკის ხსოვნისათვის

დედაქალაქის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ნ. ა. ოსტროვსკის გარდაცვალების მეთხუთმეტე წლისთავს.

ამ ღირსსახსოვარ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო სხდომა, რომელიც გაიმართა 18 დეკემბერს ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში.

მოკლე შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. მ. ეგოლინმა დაახასიათა კეთილშობილური სახე ბოლშევიკი მწერლისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა სამშობლოსადმი, ხალხისადმი სამსახურს, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებისადმი სამსახურს.

ნ. ოსტროვსკის შთაგონებული წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელიც მოგვითხრობს ჩვენს თანამედროვეთა შესახებ, 240-ზე მეტჯერ გამოიცა სსრ კავშირის ხალხთა 46 ენაზე. იგი გამოიცა უცხო ქვეყნების ხალხთა 20 ენაზე.

სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი, რომლებიც აშუქებენ ნ. ოსტროვსკის შემოქმედების ძირითად ნიშნებს და მის ნაწარმოებთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში. (საქდესი).

მფრინავი სპორტსმენის ვ. პანჩენკოს მსოფლიო რეკორდი

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციისაგან (ფაი) მიიღო ცნობა საბჭოთა მფრინავ სპორტსმენის ვლადიმერ პანჩენკოს მსოფლიო რეკორდის დამტკიცების შესახებ.

ამა წლის 16 სექტემბერს ვ. პანჩენკომ სასპორტო თვითმფრინავით „იაკ-18“ გაიარა 2 ათასი კილომეტრი წრიული მარშრუტი საათში 209,664 კილომეტრი საშუალო სიჩქარით. ეს მიღწევა სიჩქარის მსოფლიო რეკორდია მესამე წონის კატეგორიის მსუბუქი თვითმფრინავებისათვის. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

ყოველდღიურად ვიზრუნოთ პარტიული განათლების დონის ამაღლებისათვის

კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელებისადმი მუდმივ დახმარებას და კონტროლს სერიოზულ ყურადღებას აქცევს პარტიის ლენინხუთიის რაიკომი.

რაიონში არსებობს პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის 31 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 524 კომუნისტი. 440 კომუნისტი სწავლობს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს. პოლიტკულუსებში გაერთიანებულია 278 კომუნისტი. გარდა ამისა, კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის საგრძნობი რაოდენობა გაერთიანებულია პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეში, სადაც პარტიულ სკოლაში, პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმომქმედ სემინარში. სულ წრეებში, პოლიტკულუსებში და დამოუკიდებლად 1.760 კომუნისტი სწავლობს.

დამოუკიდებელი მუშაობით 550 კომუნისტი ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მათ შორის ერიან უმაღლესი განათლების მქონე ამხანაგები: ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები და სხვები, რომელთა დასაბამრეულად გამოყოფილია 60 კონსულტანტი. პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნილია კონსულტანტთა სეიანარი, რომელიც ეხმარება კონსულტანტებს თეორიული დონის ამაღლებასა და მეთოდურ დახელოვნებაში.

წელს რაიკომის ბიუროს ექვსეულერ განიხილა პარტიული სწავლების მიმდინარეობის საკითხი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა, კონსულტანტებისა და პროპაგანდისტების თანმიმდევრებზე სისტემატურად იხილავენ წიგნებზე დამოუკიდებლად მუშაობის ხერხებისა და მეთოდების, ინდივიდუალური მუშაობის გეგმის შედგენის, რეფერატების მოწყობისა და სხვა საკითხებს. თანმიმდევრებზე გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ეწყობა წიგნზე დამოუკიდებლად მომმზადებელთა, კონსულტანტებს, პროპაგანდისტების მოხსენებები.

მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს დასაბამრეულად რაიკომი სისტემატურად აწყობს ლექციებს. ლექციებსა და მოხსენებებს სისტემატურად კითხულობენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ბიტური, პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგე მ. ვაფაძეკორია, პარტკაბინეტის გამგე ვ. ზელოსანი, ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ჩიკაშვილი, განათლების განყოფილების ინსპექტორი ო. გურიელიძე და სხვები.

თეორიგანათლებაზე მომუშავე მთელი რიგი ამხანაგები სერიოზულად ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

სოფელ შუხუთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ციალა კუკულაძეკ კარგად შეისწავლა ნაშრომები „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", „რა ვაკეთოთ?", ნათლად ეჩვენება ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. დაუწყებითი სკოლის მასწავლებელი ქსენია გვარაღლიე მუირე წელია დამოუკიდებლად მუშაობს. შეიძლებამ ადგილობა, რომ იგი სერიოზულად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს. კომსომოლისტები მადლენა კუკულაძე და თამარ დოლიძე სისტემატურად იმეორებენ იდეურ დონეს და ყოველდღიურ დამპარეს უწევენ საკომსულტაციოდ მიმგარებულ ამხანაგებს.

კარგად აქვს ინდივიდუალური სამუშაო გეგმა შედგენილი ეკინმ ვლადიმერ სანშიერს. იგი გეგმის მიხედვით პარტიის ისტორიის ცალკეული თავების შესწავლასთან ერთად სწავლობს მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითად ნაშრომებს. მან კარგად შეისწავლა ლენინის ნაშრომი „მეამტეხეულის საყმაწვილო სენი კომეზმში". სანმეტი სისტემატურად კითხულობს გაზეთებს, ჟურნალებს, მხატვრულ ლიტერატურას.

სერიოზულად მეცადინეობენ ექიმები ა. ზფოლი, გ. ყიფიანი, მ. წოლისანი, ე. ყლენტი და სხვ.

კონსულტანტის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების წარმატება. ამის ნათელსაყოფად შეიძლება დასახელოთ კონსულტანტ ვ. ჩიკაშვილის მაგალითი. იგი კონსულტაციას უწევს ლენინხუთის საშუალო სკოლის მასწავლებელთა ერთ ჯგუფს. მასწავლებელი ანა ბისეიშვილი ამყამად მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა ნაშრომებთან ერთად პარტიის ისტორიის მოკლე კურსსაც სწავლობს. მან კარგად განიარტა რეკომენდაციური მოძრაობის აღმავლობის წლები რუსეთში, გაზეთ „პრავდის" როლი მუშების კლასობრივი შეგნების განვითარებაში, ამხანაგ სტალინის მოძღვრება ერის შესახებ, ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები. კარგად სწავლობს აგრეთვე პროიერეულძღვანელი ქ. სარდალეაძე და სხვ.

განსაკუთრების დროს კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტმა ზ. ბილიხოდეკ, რაიონის განათლების განყოფილების გამგემ კონსულტანტმა გ. ჩხაინეკ, ფიზიკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. რუსიძემ, აგრის ქარხნის დირექტორმა ა. ქავთარიამ და სხვებმა.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რაიკომს პარტიული სწავლების მოწყობის საქმეში ფნიშნელოვანი ნაკლოვანებანი აქვს.

სოფელ შუხუთის კომუნისტ მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ მუშაობს საკუთარი იდეური დონის ასამაღლებლად. ეს ნაკლი იმით აიხსნება, რომ სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი მარიან ნიკოლაიშვილი) ცუდად მუშაობს. პარტიგაზეთის მიმდინარე სასწავლო წელს ერთხელაც არ განუხილავს კომუნისტთა თეორიული სწავლების საკითხი. აბზ. ნიკოლაიშვილი დამოუკიდებელად მიუმუშავე კოკასიონ ერთი ჯგუფის კონსულტანტად არის დამტკიცებული. მაგრამ მან სრული უყურადღებობაზე გამოამჟღავნა როგორც პარტიის ისტორიის, ისე მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, წარმოდგენა არა აქვს კოლრეს ამბებზე. ასევე არ მუშაობს პოლიტიკური მოიმზადების დონის ასამაღლებლად ამავე სკოლის მასწავლებელი ნორა ორაგვილიძე. ლენინხუთის სასკოლო ბიბლიოთეკის მუმაკმა ნათელა ინანიშვილ ვერც ერთ კითხვაზე ვერ უპასუხა პარტიის ისტორიიდან. იგი სუსტად ერკვევა აგრეთვე საერთაშორისო საკითხებში.

გასულ სასწავლო წელს პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ბანკის რწმენეულმა ლენინხუთის რაიონში გ. ჩხეიძემ. მისი გასაკვირველი თანამშრომელ, წელს გეგმის მიხედვით მან ვ. მარჭვილა და ფრ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" შეისწავლა, მაგრამ შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს მართალი არ არის. რაიონნელი საფინანსო განყოფილების გიგეგმ ბ. სიბარულიძემ გაიარა ბიბლიოთეკა, რომ იგი „მოკლე კურსის" მე-13 და მე-14 თავებს (IV) სწავლობს. აქვე უნდა შეეგიშნოთ, რომ ბევრი ამხანაგი, მათ მორის ვ. ჩხარტიშვილი, ა. კუტუბიძე, ვ. ვადაკორია, ს. დოლიძე, ე. წერეიძე, ვ. ვადაკორია, ფ. ცეცქლიძე, ე. ფაიკაიძე, ე. ჩხარტიშვილი, ვ. ჩხეიგეველი, მ. კეირეველი, დაგიანებით შეუდგა მეცადინეობას.

რაიკომს პარტიის ისტორიიდან ლექციათა ორი ციკლის წაკითხვა აქვს დაგეგმილი, არსებობს რაიკომის ბიუროს 20 ნოემბრის დადგენილება ლექციათა ციკლის კითხვის უმოკლეს ვადაში დაყვანის შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება ჯერჯერობით არ შესრულებულა. არის შეეგზავნა წაკითხული ლექციების ხარისხს, უმაღლესობას ერთი სანერთო ნაკლოვანებაც ამოიჩენეს: ლექტორთა დიდი ნაწილი ლექციებს თანაბერდროულობასთან მოწყვეტით კითხულობს, ლექციები დაკავშირებული არ არის ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ გრანდიოზულ შრეზლმებთან; ნაკლებად ეკითხება ლექციები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შესახებ.

პარტიის ლენინხუთის რაიკომმ სწრაფად უნდა ფიზრუნის ეს ნაკლოვანებანი.

მ. ვარდოსანიძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ვ. ჯაფელი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

თბილისი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ამწეოსი ა. ბენდიანიშვილი მოწყვეტ ა. პარტაკიევთან ერთად იხილავს სამუშაო ნახაზს.

ფოტო „ვ. ვინნიბეგოვისა

თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის

ღიუბღინოელ ნოვაგორცთა მიმდევრები

სახარატო ხრახნმჭრელ და სხვა ინოელი კონსტრუქციის დაზგებს ამზადებს თბილისის სამსხვლელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი.

ლიტლინოელი ხარატები ა. ანდარიოვისა და ო. აგაფონოვის შესანიშნავ ნაკეთობას ეფუძნებიან საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულების შესახებ გულდასმით გაეცნენ ქარხნის მეშაკეები. მათ გამოაცალეს ინსტრუქციები, ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიდნენ თვითეული ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებას, საწარმოო პროცესების დაჩქარებასა და წარმოების კულტურის ამაღლებას.

სასსმელო სამკერვალო სადაზე ნაწილების ზუსტი ყალიბებისათვის იყენებენ ეგრეთწოდებულ კოპებს, რომლებიც სხვადასხვა ფორმის აძლევენ. კოპის დასამზადებელად გამოალესილ ფენებულ მიწას განსაზღვრული ტემპერატურით სპეციალურ ღუმელებში აშრობენ. თუ ეს წესი დაარღვიეს და ხელი მიწა გამოიყენეს, ყალიბში ცხელი ლითონის გაზგის გაგტარებისთანავე ნომბა შეჩერდება და სამოდის დეფორმაციას გამოიწვევს. ამის შედეგი ის იყო, რომ 20 და 23 ნოემბრის ჩამოსხმული დეტალებიდან 536 კილოგრამი, რაც გეგმის 8,8 პროცენტს შეადგენდა, დეფორმირებული აღმოჩნდა. მეორედ ჩამოსხმის გამო ზედმეტად დაიხარჯა თუჯი, საწვავი, ელექტროენერგია. წუნდებული პროდუქციის მიღების თავკაცი მიზეზი ის იყო, რომ კოპის დამამზადებლები ოპერაციის ბალანსირებისაგან არ ასრულებდნენ, ჩამოსხმულები ცუდად შესრულებულ კოპს არ სინჯავდნენ.

როცა საამქროში გაიცენენ ლიეტლინოელი ნოვატორების მეთოდები, გადაწყვეტეს საუკეთესო ხარისხით შეესრულებინათ კოპისა და სხმულის დამზადების ოპერაციები. შეუდგნენ ახლებურად მუშაობას. კოპის დამამზადებლებმა ოპერაციის შესრულების წესები ზუსტად დაიცვეს, ჩამოხსნილებმა წინა ოპერაციების შესრულებულებზე კონტროლი გაანლიერეს. ახალი მეთოდით მუშაობის შედეგად 27 ნოემბრისა და 1 დეკემბერს ჩამოსხმული დეტალებიდან წუნი მხოლოდ 2,89 კილოგრამი აღმოჩნდა, რაც პირველი ეკონომიურეკეთა იყო ქარხანაში. კოპის დამამზადებლებმა ლ. ხორანლიმ, ჩამოსხმულებმა გ. ლონდარიიძემ, ზ. გომარელმა, ო. დალაქიშვილმა და სხ. აკადემიკა ცალკეულ ოპერაციები საუკეთესო ხარისხით შესრულეს, წუნის არცერთი შემთხვევა არ დაუშვეს.

ხრახნმჭრელი დაზგების ამწყობმა ზეინკალმა ოთარ გოგიჩაიშვილმა თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის საყურადღებო წინადადება წამოაყენა. ამ წინადადების არსი ის არის, რომ სამჭრის უფროსმა, ოსტატმა და ტექნოლოგმა მეტი კონტროლი დააწესონ მუშაობის პროცესზე იმ მიზნით, რომ თვითეული მუშის ბიბ ცუდი ხარისხით შესრულებული ოპერაცია დროულად გამოელინდეს. მაგალითად, ხარატმა ბ. ჩიტრიოვმა ამას წინათ კბილანების ამოჭრის ნახაზით გათვალისწინებული ზომები ვერ დაიცვა და ერთბაშად 23 დეტალი გაფუჭა, ეს რომ ტექნოლოგს ან სამჭრის უფროსს დროულად შეენიშნა, ჩიტრიაევი შეცდომას პირველსავე დეტალზე გამოასწორებდა და ოპერაციის ხარისხთნვად შეასრულებდა. ასეთი შემთხვევები ქარხანაში ინვიათი როდია.

ბენდიკეტ და ამწყობმ სამამქროში გაითვალისწინეს მუშობაში გამოყენებული ნაკლოვანებანი. ხარატები, ზეინკლები, ყველა პროფესიის მუშები შეუდგნენ თვითეული ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებას. ამკამად საუკეთესო ხარისხის ეინეკეკის ჭრის ხარატი პ. ნოვიოსელაევი, ნახაზებს ზუსტად იცავს ყბილანების დამამზადებელი ბ. ჩიტრიაევი, უწერნოდ მუშობენ ი. გორაბაძეკი, გ. ბრეფიონოვი, ე. კოკნაძე, ა. გოცირიძე და სხვები.

სამსხვლელ-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა პირველი ნომრის ტანსაცმლ სტახანოველებს ა. ანდარიოვისა და ო. აგაფონოვას. ამ დღეებში ქარხნის კოლექტივმა წერილით მიმართა ლიტლინოელ სტახანოველებს ა. ანდარიოვისა და ო. აგაფონოვას. დაზგამშრომელებმა ამ პირველ წარმატებებზე მოეთხრობენ მათ.

ე. ჯაფარიძე

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ, ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲕᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა ამერიკის დივერსანტების ა. ა. ოსმანოვისა და ფ. კ. სარანცევის საქმე.

როგორც გამოძიებისა და გასამართლების დროს გამოირკვა, მიმდინარე წლის აგვისტოში ღამით ამერიკის თვითმფრინავიდან ოსმანოვი და სარანცევი პარაშუტებით ჩამოუშვეს სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოლდავეთის სსრ-ის ტერიტორიაზე რაიონში.

საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დანაშაული შეიპყრეს; მათ განხორციელ დროს აღმოაჩინდათ ყალბი საბუთები, იარაღი, საწამლავი და დივერსიებისა და ტერორის განსახორციელებელი სხვა საშუალებანი, აგრეთვე დიდძალი ფული. ოსმანოვისა და სარანცევის შეპყრობის რაიონში ღიმი ჩენილ იქნა ბარაშუტები, რომლებთაც ისინი ჩამოუშვეს.

ოსმანოვმა და სარანცევმა აღიარეს, რომ ისინი გადაბირა ამერიკის დაზვერვამ დასავლეთ გერმანიაში (სადაც ისინი იმყოფებოდნენ „ადგილგადაწყვეტილ პირთა" ბანაკებში) ჯაშუშური, დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობისათვის საბჭოთა კავშირში. ოსმანოვმა და სარანცევმა აჩვენეს, რომ მათ ამერიკის დაზვერვის ოფიცერთა ხელმძღვანელობით სპეციალური მოამზადა გიორგს ტოპოგრაფიაში, სპორტული იარაღის სროლაში, პარაშუტით გადმოხტომაში, დივერსიების, ტერორისა და ჯაშუშობის მოწყობაში.

გამოძიებისა და გასამართლების მსვლელობაში გამოირკვა, რომ ოსმანოვი და სარანცევი ძირგამოთხრილ მუშობისათვის მოამზადეს შემდეგ, გადაგზავნილ იქნენ სპერანდნეში, ხოლო იქიდან ამერიკის თვითმფრინავითა და ამერიკელ ოფიცერთა თანხლებით მოყვანილ იქნენ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოშვების ადგილს.

ოსმანოვმა და სარანცევმა სასამართლოში აჩვენეს, რომ ისინი, მათთვის დაკისრებულ დანაშაულებრივ დავალებათა შესრულების შემდეგ, უნდა ჩასულიყვნენ ქალაქ ყარსში (თურქეთი) ამერიკის დაზვერვის ოფიცერებთან შესახვედრად.

სასამართლოში ბრალდებულებმა ოსმანოვმა და სარანცევმა წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ბრალდებულებს ოსმანოვისა და სარანცევისათვის რუსთის სსრ სისტემის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ" მუხლით წაყენებული ბრალდება საყმაოდ დამტკიცებულად ცნო. გათვალისწინა რა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და იხილეძგენელი რა სსრ კავშირის უმაღლესი სამკოს პრეზიდიუმის 1950 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით „სამშობლოს მოღალატეებს, ჯაშუშებს, ძირგამოთხრილ- დივერსანტებს მიმართ სიკედილით დასჯის გამოყენების შესახებ", სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა მათ სასჯელი უმაღლესი ზომა—დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

პარეული კომეზეზის ინსტრუქტორი

ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, ყველა რაიონში ფართო სამეურნეო და კულტურული შენებლობა მიმდინარეობს. „გაბოლებულია დიდი მუშობა მასების კომუნისტური აღზრდისათვის. სწორედ ამიტომ განუწყვეტელ იზრდება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშობის მოცულობა, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის დონის შემდგომი ამაღლების ამოცანებს.

„პარტიული ხელმძღვანელობა ჯეროვან სიმაღლეზე რომ ავიყვანოთ, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — საჭიროა უწინარეს ყოველისა ავამაღლოთ პარტიულ მუშაკთა კვალიფიკაცია".

კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, პოლშეკიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებით მათი შეიარაღება კომუნისტური პარტიის მუდმივ საზრუნავია.

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელ მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კადრების ინსტრუქტაჟს: და სწავლას. ადამიანებთან, კადრებთან მუშაობა, პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მათი ადზრდა სოლეტო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. პარტიული ორგანიზაციები, და უწინარეს ყოველისა მათი ხელმძღვანელები, მიზნადებული არიან სისტემატური ინსტრუქტაჟი გიუწევნენ მეშაკებს. კონკრეტულად დაიხმარონ მათს წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში.

ინსტრუქტორები პარტიულ მუშაკთა ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმია. ინსტრუქტორთა დახმარებით პარტიული ორგანოებს ეოცახალი კავშირი აქვთ ძირეული ორგანიზაციებთან. ინსტრუქტორის ძირითადი მოვალეობაა შეამოწმოს და მოაწყოს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულება, დაეხმარონ ადგილის პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოწესრიგებაში, შეისწავლოს და გაავრცელოს დადებითი გამოცდილება, ეცადოს აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

პარტიულ კომიტეტებში ეოტა რიდია ისეთი ინსტრუქტორი, რომელიც წარმატებით არეკრეს თავს თავის ამოცანებს და დამსახურებული აუტორიტეტი სარგებლობს. ისინი აქტიურად ეხმარებიან პარტიულ ორგანოებს ადგილებთან კავშირის განმტკიცებაში, ასწავლიან ძირეულ კადრებს პოლშეკიკური ხელმძღვანელობის მეთოდებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორები დიდ როლს ასრულებენ პარტიული მუშაობის აღმავლობაში მაშინ, როცა მათ ყოროვნად ხელმძღვანელობენ ეს სწორად, დანაშნულებისაშებრ იყენებენ. საშუალოხოდ, პარტიის ბევრ რაიონულ, საქალაქო და სოლეკო კომიტეტში ინსტრუქტაჟს საპირო ყურადღება არ ექცევა, ხოლო ინსტრუქტორის როლს ზოგჯერ სათანადოდ არ აფასებენ.

მაგალითად, პარტიის დაღისტანის სალოქო კომიტეტში ბევრი ინსტრუქტორი გადაქცეულა ლაბადასტა სამეურნეო კამპანიის, საჩიოანთა შემოწმების და ყოველგვარი ცხობების შეგროვების მუდმივ რწმენებულად. მათ თითქმის არ რჩებათ დრო იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი ძირითადი მოვალეობა — ეორმად შეიმუშავონ ამ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, რომლებზეც ისინი მიმაგრებული არიან, არ რჩებათ დრო იმისათვის, რომ შეამოწმონ გადაწყვეტილებათა შესრულება და დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებსა და რაიკომებს. არ შეიძლება ნორმალურად ეკეთინნთ ისეც, რომ სოლეო კომიტეტში ხანგრძლივი დროის მანძილზე აკლიათ ბეკრი ინსტრუქტორი, რომ მათი შემადგენლობა ზშირად იცვლება. ინსტრუქტორთა მუშობის არასწორი ორგანიზაციის შედეგად პარტიის დაღისტანის სალოქო კომიტეტი სუსტად არის დაკავშირებული ბევრ ორგანიზაციასთან, დაგვიანებით იგებს ზოგიერთი რაიკომისა და პირველადი ორგანიზაციის საქმიანობის ნაკლოვანებებს.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა სწორად შერჩევას და შესრულებულ შემოწმებას.

„მუშაკთა შემოწმება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

დავალებათა შესრულების შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოველისა მათს შემოწმებას მუშაობის ადგილს შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით".

ცოცხალი კავშირი ადგილებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან, მათს ხელმძღვანელებთან, აქტივისტებთან და რიგითს კომუნისტებთან, საქმის შესწავლა ადგილებზე, პრაქტიული დახმარება და ხელშეწყობა ადგილობრივი ხელმძღვანელებისათვის—ეს არის თვითეული პარტიული მუშაკის, თვითეული ინსტრუქტორის მუშაობის ძირითადი მეთოდი. პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი თავისი დროის მეტ ნაწილს ადგილებზე, პარტიულ ორგანიზაციებში უნდა ატარებდეს, კარგად იცნობდეს რაიონის, ქალაქის, სოფლის ცხოვრებას. სწორედ ასე მუშობს პარტიულ კომიტეტების ბევრი ინსტრუქტორი. ისინი ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს მთელ მათი მუშობის გეგმაზობისებაში, საწარმოო გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ფაქტი, რომელიც მუშობს ინსტრუქტორთა მუშობის არასწორ ორგანიზაციას.

პარტიის აშხანდიის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორები დროის მეტ ნაწილს ამბარეს ყოველგვარი ცნობებისა და ჯუმლების შედგენას. პირველადს ორგანიზაციებთან კავშირს ისინი ეხორციელებენ უმთავრესად ტელეფონით და ამიტომ ზერელე წარმოდგენა აქვთ ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესახებ. პირველადი ორგანიზაციების მდივნები ვერ ილებენ მათგან საპირო დახმარებას. საქალაქო კომიტეტის მუშობის ეს სერიოზული ნაკლი არაერთხელ აღინიშნა პლენუმებსა და პარტიულ კონფერენციებზე, გამოითქვა სურვილი, რომ საქალაქო კომიტეტის ბიუროს განეხილა ინსტრუქტორთა მუშობის პრაქტიკა, დახმარებოდა მათ განთავისუფლებულიყვნენ კანცელარიული მეთოდებისაგან და წარმმართა მათ მთელ ენერგიები პირველადს ორგანიზაციებთან ეოცახალი კავშირის განსამტკიცებლად. მაგრამ საქალაქო კომიტეტის ბიუროს ყური არ უგდო კრიტიკის ხმას. იგი ჯერეოვნად არ ზრუნავს ინსტრუქტორთა პოლიტიკური და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტის მუშობის პრაქტიკაში არსებითი ნაკლია ის, რომ მათი ინსტრუქტორები, ადგილებზე ყოფნისას, სულ ოდენ ერთ ან ორ დღეს ეხარჯავენ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის მხოლოდ ზერელე გაცნობას, აძლევენ ზოგად რჩევას, აღნიშნავენ ნაკლოვანებებს. ასეთ პრაქტიკას ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ მეთოდებთან საერთო არა აქვს რა. პარტიული მუშაკი პარტიული გეზის განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლი, მასების ორგანიზატორი და აღმშრდელია. იგი მხურვალედ უჭერს ბრალს ყოველივე ახალს, მოწინავეს, არ ეურიდება მუშაობის ნაკლოვანებებს.

ინსტრუქტაჟს უნდა ახასიათებდეს მიზანსწრაფვა, იმის უნარი, რომ მუშაობაში დაინახოს ძირითადი, მთავარი, ეტნობილი, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანოს და პირველადი ორგანიზაციის საქმიანობის ყველაზე არსებით ნაკლს ჯერ კიდევ ეწარმოადგენს ის, რომ სწორად ვერ ახამებენ პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას. პარტიული კომიტეტის წარმომადგენლის მოვალეობაა დაეხმაროს მათ ამ ნაკლის აღმოფხვრაში, ეცადოს, რომ სამეურნეო წარმატებანი ეხლეშენდეს ეოფილ მუშობის წარმატებებს.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული კომიტეტების დარგობრივ განყოფილებათა ინსტრუქტორების მუშაობის ორგანიზაციას. ხშირად პარტიული მუშაკების ეს ნაწილი თავის საქმიანობას ფარულეს მხლოდ ეიწრო საწარმოო საკითხებთან, ნაკლებად სწვდება საწარმოთა, კოლმეურნეობათა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას. რა უბანზეც უნდა მუშაობდეს პარტიული ორგანოს ეს თუ ის მუშაკი, იგი სავალეს უნდა მიუდგეს პარტიული მუშაკის პოზიციებიდან, შეესწავლოს ცალკები, შეამზმოს გადაწყვეტილებათა შესრულება, ინსტრუქტაჟი გაუწიოს ადამიანებს, გაავრცელოს მოწინავე ეამოცდილება, ხელი შეუწყოს პარტიული ორგანიზაციის მოელი საქმიანობის გუმკოდებაზე.

ინსტრუქტორის მუშაობის დონე დამოკიდებულია მის კვალიფიკაციაზე. პარტიული ორგანონების, მათი ხელმძღვანელების მოვალეობა ინსტრუქტორად შეარჩონ პოლიტიკურად მომზადებული, გამოცდილი კომუნისტები, რომლებიც ეატორიტეტით სარგებლობენ ორგანიზაციაში, მუდამ იზრუნონ მათი პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ამ ეკანასკნელი წლების მანძილზე პარტიულ კომიტეტებში დაწინაურებულია ბევრი ახალი, ახალგაზრდა მუშაკი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორთა მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას.

ადგილებთან ეოცახალი კავშირის გაფართოებითა და განმტკიცებით, კადრების ინსტრუქტაჟისა და სწავლების გაუუმჯობესებით ადგილობრივი პარტიული ორგანოების კიდევ უფრო ამაღლებულ მუშობის ყველა უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეს მიაღწევენ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

„ᲙᲐᲠᲐᲒᲝᲖᲘᲡ" 19/XII ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲘ

სულხან ცინცაძის მესამე კვარტეტი

დიდი ხანი არ არის, რაც შემოქმედებითი ასპარეზზე გამოვიდა კომპოზიტორი სულხან ცინცაძე. მოკლე ხნის განმავლობაში თავისებური, საკუთარი მუსიკალური ენის მქონე ახალგაზრდა შემოქმედმა შეძლო მიეპყრო საზოგადოების ყურადღება.

ახალგაზრდა კომპოზიტორი უკვე მთელ რიგ სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ნაწარმოებთა ავტორია.

საბჭოთა მსმენელს კარგად ახსოვს მისი მეორე კვარტეტი და მინიატიურები „ინდი-მინდი", „საჩიდაო" და „ლალე" სიმებიანი კვარტეტისათვის, რომლებისთვისაც 1949 წელს ს. ცინცაძეს სტალინური პრემია მიენიჭა. ნიჭიერი კომპოზიტორი დიდი ენერგიით განაგრძობს მუშაობას. მან შექმნა კონცერტები ორკესტრის თანხლებით ფორტეპიანოსათვის და ჩელოსათვის, მრავალი მცირე ფორმის ვოკალური და ინსტრუმენტალური ნაწარმოები.

კომპოზიტორი ს. ცინცაძე მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით შემსრულებლებთან — საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტთან, რომლის შემადგენლობაში არიან სიმებიანი კვარტეტების საერთაშორისო კონკურსზე სახელმოხვეჭილი შემსრულებლები: ბ. ჭიაურელი, გ. ხატიაშვილი, ა. ბეგალიშვილი და გ. ბარნაბიშვილი. ახალგაზრდა კომპოზიტორისა და ოსტატი შემსრულებლების შემოქმედებითმა თანამშრომლობამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო.

ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედების დათვალიერებაზე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა შეასრულა კომპოზიტორ ს. ცინცაძის უკანასკნელ პერიოდში შექმნილი მესამე სიმებიანი კვარტეტი „დონ-მაჟორი" და ოთხი მინიატიურა: „სიმღერა", „საცეკვაო", „მუსიკალური მომენტი" და „მწყემსური".

დათვალიერებაზე წარმოდგენილ ნაწარმოებებში იგრძნობოდა ახალგაზრდა კომპოზიტორის შემოქმედებითი მომწიფება. ყურადღებას იპყრობს მის ნაწარმოებთა მელოდიურობა და მუსიკალური ფრაზის პოეტურად გაშლის უნარი. ს. ცინცაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნათელი, ფაქიზი ხმოვანება და ლირიკა მსმენელს იტაცებს და ნაწარმოებს საინტერესო მოსასმენს ხდის. როგორც შესრულებულმა ნაწარმოებებმა დაგვანახვა, ავტორი კარგად იცნობს სიმებიანი საკრავების გამომხატველობითი საშუალებებს, იგი ხშირად მიმართავს ორიგინალურ ხერხებს, რომლებითაც სახეს შეაქვს ნაწარმოებში და სილამაზეს მატებს მას.

ს. ცინცაძე მესამე კვარტეტში, ისევე როგორც ადრინდელ ნაწარმოებებში, არ იფარგლება მხოლოდ ხალხური თემების გამოყენებით. ავტორი ძირითადად საკუთარ თემებს ამუშავებს, რომლებიც აგრეთვე ზედმიწევნით ახლოა ქართული ხალხური სიმღერების ინტონაციებთან.

ს. ცინცაძის მესამე კვარტეტი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი წარმტაცი ბუნების ალერსის შთაბეჭდილებას ტოვებს და მთლიანად ნათელ ტონებშია შესრულებული. რამდენიმე ხმამაღალი და ენერგიული აკორდის შემდეგ იწყება მელოდიური პირველი თემა, რომელსაც პირველი ვიოლინო ასრულებს დანარჩენი საკრავების აკომპანემენტით. იგივე თემა გადადის სხვა ხმებშიც, რის შემდეგ გაისმის მეორე თემა. თავისი ხასიათით იგი პირველისაგან განსხვავდება. მისი დასრულების შემდეგ კვლავ გაისმის შესავლის აკორდები, ხოლო შემდეგ იწყება ენერგიული დასასრულის ნაწილი (კოდა), რომელშიც ორივე თემის ინტონაციები ისმის.

კვარტეტის მეორე ნაწილი სკერცოა, რომელიც თავისი ხასიათით სახუმაროა. იგი ცოცხლად იწყება. პირველი თემა დასაწყისშივე გვხვდება, რასაც ყველა საკრავი ასრულებს. მეორე თემა—გაშლილი მელოდიაა. შუა ნაწილი მუსიკალური ფაქტურის შეცვლით შედარებით დინჯად მიდის, თუმცა ტემპი იგივეა, რაც დასაწყისში იყო; აქ შეცვლილი სახით ისმის მეორე თემის მელოდია, რომელიც გამდიდრებულია ხალხური „ნანას" ინტონაციებით. დინჯი ნაწილის დასრულების შემდეგ იმავე სახით, როგორც დასაწყისში, მეორდება ორივე თემა.

მესამე ნაწილი ნელი ტემპით მიდის. დასაწყისშივე მთელი კვარტეტი ასრულებს თემას, რომელშიც ისმის „გუშინ შევიდი გურჯაანელნის" ინტონაციები. თემის დამუშავებას პირველი ვიოლინო იწყებს, მელოდია შემდეგ სხვა ხმებში გადადის. ამ მეტად მდიდარ თემას, აგებულს ხალხური სიმღერის ინტონაციაზე, ავტორი საკუთარი ჰარმონიით ქარგავს და მთელი ნაწილის მუსიკას ღრმა შინაარსის მატარებელსა და დრამატულს ხდის.

ამ ნაწილის ფინალში კომპოზიტორი ჩელოს ბანის სიმს, როგორც საორღანო პუნქტს, გამუდმებით ერთი ტონით ჩვეულებრივზე დაბლა ახმოვანებს, ხოლო მის ფონზე დანარჩენ ხმებს ძირითად მელოდიას აძლევს შესასრულებლად სურდინების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ეს სრულიად ახალი ხერხი, რომელიც ადრე საკვარტეტო ლიტერატურაში არ ყოფილა, კომპოზიტორ ს. ცინცაძეს გაბედულად და დიდი გონებამახვილობით აქვს გამოყენებული, იგი შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე.

კვარტეტის მეოთხე ნაწილი იწყება ჩქარი ტემპით, იგი თანდათან უფრო სწრაფი ხდება. პირველი თემა გვხვდება ხან ერთ, ხან მეორე საკრავში. მისი დამკვიდრების შემდეგ იწყება მეორე თემა, რომელიც გაშლილ მელოდიას წარმოადგენს.

მთელი ეს ნაწილი რიტმულია და მხნე განწყობილებით არის მოცემული და ორიგინალური ინსტრუმენტირებით გამოირჩევა.

დათვალიერებაზე დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი აგრეთვე ს. ცინცაძის ოთხი მინიატიურა კვარტეტისათვის „სიმღერა", „საცეკვაო", „მუსიკალური მომენტი" და „მწყემსური". ავტორი აქ ძირითადად ხალხურ სიმღერებს იყენებს. „სიმღერა" დაწერილია ხალხურ „ნეტავი გოგოს" ჰანგზე, „საცეკვაოს" თემაა ქართლში ცნობილი საცეკვაო. „მუსიკალური მომენტი" საკუთარი მელოდიაა, რომელიც სიმზე თითების ჩამოკვრით სრულდება. „მწყემსური"— ხალხურ სიმღერაზეა აგებული. აქ ავტორი ორიგინალურ ხერხებს მიმართავს და ყოლას შესრულებით სალამურის ხმოვანებას აღწევს.

შესრულებულმა ნაწარმოებებმა ცხადყო ავტორის ნიჭი და საკვარტეტო მუსიკის და ხმიანი საკრავების გამომხატველობითი საშუალებების ზედმიწევნით ცოდნა. კომპოზიტორ ს. ცინცაძის ახალი ნაწარმოებები საბჭოთა საკვარტეტო მუსიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ და უთუოდ დამკვიდრდებიან საშემსრულებლო კოლექტივების რეპერტუარში.

ი. მესხიშვილი

არქეოლოგიური გათხრები საჩხერეში

საჩხერე. („კომუნისტის" კორ.). საჩხერეში მუშაობა დაამთავრა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია რაიონის ტერიტორიის უძველესი ძეგლების, ისტორიული ნაშთების, სამარხების და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების შესასწავლად.

დაბა საჩხერეში, „ნაჩერქეზევის უბანში", გათხრის დროს აღმოჩენილ იქნა 4-5 ათასი წლისწინანდელი სამარხები, რომელთა შორის ზოგიერთი ორსართულიანი იყო, ე. ი. მიცვალებულს ქვეშ კიდევ მიცვალებული იყო დასვენებული. სამარხებში მიცვალებულებთან აღმოაჩინეს თიხის ქოთნები და დერგები, რომლებშიც ჩალაგებული იყო უძველესი ხანის იარაღები და ნივთები, მათ შორის კაჟისაგან გამოკვეთილი შუბის და ისრის წვერები, სპილენძისა და ბრინჯაოს ხანჯლები, სპილენძისავე გულსაკინძები და სხვა ნივთები. აღმოჩენილ ნივთებს შორის სპეციალისტების ყურადღება ყველაზე მეტად გულსაკინძებმა მიიქცია. მათი განცხადებით, ასეთი გულსაკინძები მხოლოდ ეგვიპტის სამარხებში იყო ცნობილი.

საჩხერეში აღმოჩენილი სამარხები საინტერესოა იმითაც, რომ აქ მიცვალებულები განლაგებული იყვნენ რკალურად. ზოგ მიცვალებულს თავი აღმოსავლეთით ჰქონდა, ზოგს დასავლეთით, ზოგს კიდევ სამხრეთით და ა. შ. არქეოლოგების აზრით, ეს სამარხები მცხეთისა და თრიალეთის ცნობილ სამარხებზე ათასხუთასი—ორი ათასი წლით ადრინდელია.

ზამთრის სამუშაოებს კარგად ასრულებენ

მომავალ წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის ზრუნვა კოლმეურნეობებში კარგა ხანია დაიწყო. ზამთრის სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა მაიაკოვსკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ნ. ფორჩხიძე). აქ ზამთრისათვის ვენახებში ნიადაგის დამუშავება კარგა ხანია დაწყებულია. ვაკე ადგილებში მიწას ხნავენ, ფერდობებს კი ბარავენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხვნისა და ბარვის წინ ნიადაგის განოყიერებას. ამ მიზნით შარშან შემოდგომაზე ვენახის თითოეულ ჰექტარზე 20-25 ტონა ნაკელი და 500-600 კილოგრამი მინერალური სასუქი შეიტანეს, ამჟამად კი 40-50 ტონა ნაკელი და 600-800 კილოგრამი მინერალური სასუქი შეაქვთ. დამატებით გამოკვებისათვის გათვალისწინებულია გაზაფხულზე აზოტოვანი სასუქის შეტანა.

მავნებლები (ცრუ ფარიანა და სხვ.) ამცირებენ მოსავალს და აუარესებენ ყურძნის ხარისხს. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად მოწინავე მევენახეები ვაზის შტამბს ხმელ ქერქს აცლიან, ვენახიდან გამოაქვთ და წვავენ, შემდეგ კი შტამბს ნავთკირის ემულსიას უსვამენ. ამავე ხსნარს ბოძებსა და ჭიგოებზე წასასმელადაც იყენებენ.

კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა ძველი, უვარგისი ბოძებისა და ჭიგოების შეცვლას, ახლის დამზადებას (სულ დამზადდება 10.000 ცალი ჭიგო), ამასთან გათვალისწინებულია ვენახების გადაყვანა მავთულზე. უკვე გადაყვანილია მავთულზე 9 ჰექტარი ვენახი.

ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის წელს დამატებით გადაწვენილია 1.000 ძირი ვაზი და გამორგულია 1.500 ძირი. გაზაფხულისათვის გათვალისწინებულია 1.300 ძირი ვაზის გამორგვა და ყველა მეჩხერი ადგილის შევსება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადრენაჟო არხების მოწყობას და მათ სისტემატურად გაწმენდას. მოწინავე მევენახეებს ეს სამუშაოც დაწყებული აქვთ და მას ზამთრის თვეებში მოათავებენ.

მევენახეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლმეურნეობაში მოწყობილია აგროტექნიკური სწავლება, რომელშიც 18 კოლმეურნეა ჩაბმული. მეცადინეობა წარმოებს კვირაში ერთხელ, რაც აპრილამდე გაგრძელდება. ხელმძღვანელად მოწვეულია რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი ამხ. გ. თოდაძე.

შემოდგომა და ზამთარი საუკეთესო დროა ახალი ვენახის გასაშენებლად პლანტაჟის მომზადებისათვის. კოლმეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარი პლანტაჟის მომზადება უკვე მთავრდება. თითოეულ ჰექტარზე მაიაკოვსკელი კოლმეურნეები 4.400 ჰექტარი ნამყენის დარგვას ფიქრობენ. საჭირო ნერგი უკვე მომარაგებულია.

წელს კოლმეურნეობამ ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო. ვენახებში გვხვდება ისეთი ძირები, რომლებიც ერთ ფუთამდე ყურძენს ისხამენ, აქვთ 7-8 სანაყოფე რქა. ჰექტარზე გადაანგარიშებით თითოეულ ჰექტარზე ზოგან 306 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. ამჟამად კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალ წელს მიმდინარე წელთან შედარებით დაახლოებით 50 პროცენტით გაადიდონ მოსავლიანობა. ამ მიზნით ვენახებში მაღალნაყოფიერად მუშაობენ სოციალისტური შრომის გმირები მერგოლურეები ი. ვაშაკიძე, დ. ხიზანიშვილი, კოლმეურნეები ა. ნერგაძე, რ. ებანოიძე, ს. ებანოიძე და სხვ.

კოლმეურნეობის წევრთა მტკიცე გადაწყვეტილებაა ვადამდე და საუკეთესო ხარისხით შეასრულონ ზამთრის ყველა სამუშაო ვენახებში.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

სასელექციო სადგური ნაყოფიერად მუშაობს

ნაყოფიერად მუშაობს გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო საცდელი სადგური (დირექტორი ამხ. ს. შარაშენიძე). მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის მიღწევათა დანერგვით, მექანიზაციისა და სასუქების გამოყენებით საცდელი სადგური ყოველწლიურად ზრდის ბოსტნეულის მოსავლიანობას. წელს აქ თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 9-10 ტონა ბულგარული წიწაკა, გეგმა კი 7 ტონას ითვალისწინებს. კარგი იყო კურკოვანი ხილის მოსავალიც. ნაცვლად 60 ტონისა საკონსერვო ქარხანას 65 ტონა კურკოვანი ხილი ჩააბარეს.

საცდელმა სადგურმა წელს უხვად მიიღო ბოსტნეულის თესლი. ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 კილოგრამისა მიღებულია 372 კილოგრამი კომბოსტოს თესლი, ხოლო სტაფილოს თესლი — 400 კილოგრამი, ნაცვლად 250 კილოგრამისა. უხვი მოსავლის მიღების საქმეში თავი ისახელა იმ ბრიგადამ, რომელსაც ოც წელზე მეტია ხელმძღვანელობს ალ. მჭედლიშვილი.

საცდელი სადგური სერიოზულ მუშაობას ეწევა ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვისათვის. სადგურს 30 ჰექტარზე აქვს ხეხილის სანერგე. აქ ძირითადად ისეთი ჯიშები გამოჰყავთ, რომელთა ნაყოფიც გამოსადეგია საკონსერვო მრეწველობისათვის. ახალი ჯიშების გამოყვანაზე ბეჯითად მუშაობს სადგურის მეცნიერი მუშაკი ელენე ერისთავი, რომელმაც ხეხილის მრავალი ახალი ჯიში გამოიყვანა. სანერგე მეურნეობაში წელს დაიმყნო 126.300 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხეხილი. აქედან მიჩურინელ ვ. ბესტაევაშვილის მიერ გამოყვანილი ხეხილის ჯიშები დაიმყნო 10.000 ძირი.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

უშიშროების საბჭოს სხდომა

პარიზი, 18 დეკემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომლის წინასწარ დღის წესრიგში შეტანილი იყო ორი საკითხი: 1. განხილვა გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის 1951 წლის 7 ნოემბრის რეზოლუციისა, რომელიც უშიშროების საბჭოს ურჩევს სასწრაფოდ განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იტალიის მიღების საკითხი, და 2. განხილვა გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის 1950 წლის 4 დეკემბრის რეზოლუციისა, რომელიც უშიშროების საბჭოს ურჩევს განიხილოს მთელი რიგი სახელმწიფოების განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ინგლის-ამერიკის ბლოკმა ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანა საკითხი მეურვეობის საბჭოს მუშაობაში იტალიის მონაწილეობის შესახებ, ხოლო შემდეგ, მეურვეობის საკითხთა კომიტეტში ამ საკითხის განხილვისას, ამ კომიტეტს თავს მოახვია მიღება გადაწყვეტილებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იტალიის მიღების შესახებ, თუმცა მეურვეობის საკითხთა კომიტეტს უფლება არა აქვს მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, რამდენადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების მიღების საკითხს განიხილავს პოლიტიკური კომიტეტი, რომლის დღის წესრიგშიც სპეციალურად დგას ეს საკითხი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება მეურვეობის საკითხთა კომიტეტს თავს მოახვიეს მხოლოდ იმისათვის, რომ უკანონო გზით, „უკანა კარით", იტალია გაეხადათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და ამავე დროს გადაუჭრელად დაეტოვებინათ იმ 12 სხვა სახელმწიფოს მიღების საკითხი, რომლებმაც განცხადება შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კომიტეტმა უხეშად დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების წესდებით და პროცედურის წესებით გათვალისწინებული წესი და გადაამეტა თავის რწმუნებას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავრესორულ ბირთვში შემავალი ქვეყნების ხმებით მიიღო რეზოლუცია, რომელიც რჩევას იძლევა მიღებულ იქნას იტალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. მეურვეობის საკითხთა კომიტეტის ეს უკანონო რეზოლუცია თავს მოახვიეს აგრეთვე გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას.

ასამბლეის ეს რეზოლუცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას ეწინააღმდეგება, დღეს დაისვა უშიშროების საბჭოს განსახილველად.

უშიშროების საბჭოს სხდომის დასაწყისში სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, რომელმაც მოითხოვა ჯერ განიხილათ გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის რეზოლუცია, რომელიც მიღებულია შარშან დეკემბერში, ხოლო შემდეგ გადასულიყვნენ ასამბლეის ახლანდელი სესიის აღნიშნულ რეზოლუციაზე. ამასთან მან აღნიშნა, რომ ასამბლეის შარშანდელი რეზოლუციის განხილვისას საბჭო აუცილებლად შეეხება იტალიის მიღების საკითხსაც, რამდენადაც იგი იმყოფება იმ ცამეტ სახელმწიფოს შორის, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

საბჭოთა წარმომადგენლის ეს კანონიერი და ლოგიკური წინადადება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატების ჯიუტ წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იტალიის მიღების საკითხი განხილულიყო აუცილებლად პირველად, სასწრაფო წესით. ნამდვილად კი მათმა წინააღმდეგობამ ცხადყო, რომ ასამბლეის, ხოლო შემდეგ უშიშროების საბჭოს განსახილველად იტალიის საკითხის დასმის ნამდვილი მიზანია მისწრაფება—ყოველგვარი უკანონო გზით მიაღწიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იტალიის მიღებას და ამავე დროს გადაუჭრელი დატოვონ დანარჩენი 12 სახელმწიფოს მიღების საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მეტიც კი განიზრახა. მან განაცხადა, რომ იმ 13 სახელმწიფოს შესახებ, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ, საერთოდ არ უნდა ყოფილიყო შეტანილი უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში.

უპასუხა რა ამაზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იტალიის საკითხის სასწრაფოდ განხილვის აუცილებლობის დამოწმება დამაჯერებელი არ არის, რადგან თუ საბჭომ ჯერ განიხილა და გადაწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ყველა 13 სახელმწიფოს მიღება, ამით გადაწყვეტილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იტალიის მიღების საკითხიც. სწორედ იმიტომ, რომ ეს სასწრაფოა და იმ მოსაზრებით, რომ მიღებულ იქნას ყველა 13 სახელმწიფო,—თქვა მალიკმა,—საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს ჯერ განხილულ იქნას დღის წესრიგის ის პუნქტი, რომელიც შეეხება გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის რეზოლუციას.

უეჭველია, — განაგრძო მან,—რომ ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღების შესახებ, ეს მეტად სასწრაფო საკითხია, მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართ ინგლის-ამერიკის ფავორიტიზმის პოლიტიკისა და ზოგის მიმართ კი დისკრიმინაციის პოლიტიკის გამო ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია. უშიშროების საბჭოს მოვალეობაა დაუყოვნებლივ გადაჭრას ეს საკითხი.

მალიკმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია წინადადებას იძლევა განხილულ იქნას ყველა განცხადება, მათ შორის იტალიისაც, და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ყველა 13 სახელმწიფოს მიღების შესახებ. იმის დამოწმება, რომ იტალია სამეურვეო ტერიტორიის მმართველი სახელმწიფოა, არ შეიძლება იმის დამაჯერებელ საბუთად ჩაითვალოს, რომ საჭიროა განსაკუთრებული სისწრაფით განხილულ იქნას საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ. პოზიცია სსრ კავშირისა,—დასძინა მან, — რომელიც მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ყველა 13 სახელმწიფოს მიღებას, სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

მალიკმა განსაკუთრებით ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადებაზე, რომ საერთოდ მიზანშეუწონელია უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის რეზოლუციის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ. ეს განცხადება, — თქვა მან,—იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საერთოდ მომხრე არ არიან განხილულ იქნას საკითხი ახალი წევრების მიღების შესახებ, გარდა მარტო იტალიის მიღებისა. სსრ კავშირის დელეგაცია ასეთ პოზიციას ვერ დაეთანხმება.

ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ,—თქვა დასასრულ მალიკმა, — განხილულ იქნას საკითხი ცამეტივე სახელმწიფოს მიღების შესახებ და გამოტანილ იქნას გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მათი მიღების შესახებ. ეს სასწრაფო საკითხია და დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.

იუგოსლავიისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადება, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას ერთი საერთო საკითხი: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ", ხოლო წინასწარ დღის წესრიგში შეტანილი ორი საკითხი ამ საერთო საკითხის ქვეპუნქტები იქნებოდა.

დღის წესრიგის პირვანდელი პროექტისათვის მხარდასაჭერად გამოვიდნენ ჰოლანდიის, ბრაზილიისა და თურქეთის წარმომადგენლები, აგრეთვე გომინდანელთა წარმომადგენელი. იუგოსლავიისა და ინდოეთის წარმომადგენლების წინადადებას კენჭი უყარეს და უარყვეს. მას ხმა მისცა 3 დელეგაციამ, წინააღმდეგ—6 დელეგაციამ, საბჭოს 2 წევრმა თავი შეიკავა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის წინადადება, რომ პირველად განეხილათ 13 სახელმწიფოს განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ, უარყოფილ იქნა 7 ხმით.

ამრიგად, უშიშროების საბჭოს თავს მოახვიეს დღის წესრიგი იმ სახით, როგორითაც იგი წარმოადგინა საბჭოს თავმჯდომარემ—ეკვადორის წარმომადგენელმა.

საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიული სასამართლოა მსოფლიოში

★

გ. ფურცხვანიძე

★

საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებზეა აგებული. საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად სახალხო ხელისუფლებაა. მთელი ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით, რაც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებით თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის მჭიდრო კავშირი მასებთან, მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. საბჭოები, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „თვით მასების უშუალო ორგანიზაციებია".

საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები მთლიანად დამახასიათებელია აგრეთვე საბჭოთა სასამართლო სისტემისათვის.

საბჭოთა სასამართლო მოწოდებულია განახორციელოს მართლმსაჯულება და დაიცვას სოციალიზმის ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, სოციალისტური საკუთრება, საბჭოთა მოქალაქეების დიადი უფლებანი. საბჭოთა სასამართლო უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის, თანამდებობის პირის და მოქალაქის მიერ საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებას.

აღმზრდელობითი მუშაობა იმ ცალკეულ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის ნაშთებისაგან, ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად საბჭოთა სასამართლოს წინაშე დასახულ ამოცანათა შორის.

დიდი ლენინი მრავალჯერ მიგვითითებდა, რომ საბჭოთა სასამართლო, წარმოადგენს რა მძლავრ იარაღს ხალხის მტრებთან ბრძოლის საქმეში, ამავე დროს ემსახურება ახალი, შეგნებული დისციპლინის აღზრდას მშრომელთა მასებში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საფუძველზე მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, იგი აღიჭურვა ყველაზე მოწინავე, მაღალი მორალური თვისებებით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენში აღარ არიან ცალკეული ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებიც თავიანთ პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებენ, არ იცავენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს და უხეშად არღვევენ საბჭოთა კანონებსა და წესრიგს. მასების კომუნისტური აღზრდა ხდება ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებთან, ადამიანთა ფსიქოლოგიაში ძველი სამყაროს გამოვლინებებთან სისტემატური ბრძოლის გზით.

ადამიანთა კომუნისტურად აღზრდისათვის ამ ბრძოლაში, ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში საბჭოთა სასამართლოს დიდი და საპატიო როლი ენიჭება.

კანონში სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ ნათქვამია, რომ „საბჭოთა სასამართლო, იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელის ზომებს, არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს დამნაშავეთა გამოსწორებასა და აღზრდას.

სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით სსრ კავშირის მოქალაქეებს ზრდის სამშობლოსადმი და სოციალიზმის საქმისადმი თავდადების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით" (კანონის მე-3 მუხ.).

საბჭოთა სასამართლოს ეს ორი ამოცანა—დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება და მოქალაქეთა აღზრდა — პირდაპირ გამომდინარეობს ლენინის და სტალინის მოძღვრებიდან საბჭოთა სასამართლოს როლისა და ამოცანების შესახებ.

ამ ამოცანას სსრ კავშირის სასამართლოები ახორციელებენ:

ა) სასამართლოს სხდომაზე სისხლის სამართლის საქმეების გარჩევით და კანონით დაწესებულ სასჯელთა ზომების გამოყენებით სამშობლოს მოღალატეთა, მავნებელთა, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და ხალხის სხვა მტერთა, აგრეთვე მძარცველთა, ქურდთა, ხულიგანთა და სხვა დამნაშავეთა მიმართ, და

ბ) სასამართლოს სხდომაზე იმ დავათა საქმეების გარჩევით და გადაჭრით, რომლებიც ეხება მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს.

საბჭოთა სასამართლო სისტემის ორგანიზაციასა და მუშაობას თავიდანვე ახასიათებდა სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორიცაა მოსამართლის დამოუკიდებლობა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, მართლმსაჯულების განხორციელებაში მთელი ხალხის მონაწილეობა, სასამართლო პროცესის საჯაროობა, ბრალდებულის უფლება დაცვისა, მოსამართლეთა არჩევითობა და სხვ.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 112-ე მუხლში და სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლის დამოუკიდებლობაზე კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებშიც არის მითითებული, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ იქ, კაპიტალისტურ სამყაროში, ფაქტიურად არ არის და ვერც განხორციელდება სასამართლო წყობილების ისეთი მნიშვნელოვანი დემოკრატიული პრინციპი, როგორიც არის მოსამართლის დამოუკიდებლობა; იქ მოსამართლე მართლაც დამოუკიდებელია მშრომელი მასებისაგან, ხალხისაგან და ყურმოჭრილი მონაა თავისი მბრძანებლისა—კაპიტალისტისა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლეებს, რომლებიც იმპერიალისტური მმართველი წრეების სოციალურ დაკვეთას ასრულებენ, ხანგრძლივი ვადით პატიმრობის განაჩენები გამოაქვთ ამერიკის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებისათვის, რომელთა მთელი „დანაშაული" მხოლოდ ის არის, რომ თანმიმდევრობით ამჟღავნებენ ამერიკის და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების მმართველებს, როგორც ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებს, ყოველივე მოწინავისა და პროგრესულის მტრებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეები—ეს ფრაკებში გამოწყობილი პოლიციელები და ციხის ზედამხედველები, შეუპოვრად უკუღმართი მცოდნე ბარბაროსული ხერხებით უსწორდებიან ანგარიშს ამერიკის მოწინავე ადამიანებს. ამერიკული „მართლმსაჯულების" ხერხებს იმპერიალისტები ფართოდ ნერგავენ იმ ქვეყნებში, სადაც მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ ექსპლოატაციის უღელქვეშ გმინავს. ასე, მაგალითად, თანამედროვე საბერძნეთის სასამართლოები ტერორითა და ძალადობით ცდილობენ დემოკრატებისა და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების ალაგმვას. მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები აღშფოთებული არიან იმ საშინელი სიმხეცით, რასაც სჩადიან საბერძნეთის მონარქისტ-ფაშისტები კუნძულ მაკრონისოსზე და სხვა ჯურღმულებში. ასეთივე წესებია გამეფებული საფრანგეთში, თურქეთში, იუგოსლავიაში და ამერიკის გავლენაში მყოფ სხვა ქვეყნებში.

სახელმწიფო აპარატის, პირველ რიგში სასამართლო სისტემის, გახრწნა და გამყიდველობა ახასიათებს უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

მოსამართლის ნამდვილი დამოუკიდებლობა განხორციელებულია მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა მოსამართლე თავისი დიდი და უაღრესად საპატიო მოვალეობის შესრულებისას მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესით, განაჩენი და გადაწყვეტილება მას გამოაქვს სოციალისტური მართლშეგნებით, საქმის ყველა ნამდვილად დადგენილ გარემოებებზე დამყარებით.

საბჭოთა მოსამართლის ნამდვილი დამოუკიდებლობა გარანტირებულია მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებით, ყველა იმ პირობით, რაც შექმნილია ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო აქტებით მოსამართლის ავტორიტეტისა და სახელმწიფოებრივ აპარატში მისი მნიშვნელობის გაზრდისათვის. ის მოსამართლე, რომელიც ვერ ასრულებს კონსტიტუციის 112-ე მუხლით დადგენილ პრინციპს, ვერ უზრუნველყოფს ცალკეული პირების ზეგავლენის გარეშე კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას და, მაშასადამე, ამახინჯებს სოციალისტურ კანონიერებას, არ არის ღირსი ხალხის ნდობისა, იგი შეუფერებელია ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებისათვის, როგორიცაა საბჭოთა მოსამართლის მოვალეობა.

სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევები, როცა მოსამართლენი ვერ აღმოჩნდებიან ხოლმე თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, როცა მათ გამოაქვთ არა საქმის ნამდვილი ვითარებიდან გამომდინარე, არამედ სრულიად არასწორი გადაწყვეტილებანი, — ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობაში. ეს უეჭველად ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს. ამიტომ აუცილებელია გადაჭრით ვიბრძოლოთ სასამართლოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სასამართლო ორგანოებში ავირჩიოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც მტკიცედ განახორციელებენ საბჭოთა კანონიერებას.

სტალინური კონსტიტუციის 103-ე მუხლის შესაბამისად საქმეთა განხილვა ყველა სასამართლოში ხორციელდება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, გარდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბჭოთა ხალხი უშუალოდ მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებაში. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან სასამართლოზე, როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მთელი მშრომელი ხალხის ჩაბმის ორგანოზე.

სახალხო მსაჯულები სრულუფლებიანი მოსამართლეები არიან. ისინი სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით, სცვლიან მოსამართლეებს დროებით არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, შვებულება და სხვა). სასამართლოში თავისი მოვალეობის ასრულების მთელი ხნის განმავლობაში მსაჯულს ენახება ხელფასი საწარმოდაწესებულებაში, სადაც იგი მუშაობს.

აქედან ნათელია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია სახალხო მსაჯულს და რაოდენ კულტურული, მოწინავე და ავტორიტეტული ადამიანები უნდა იქნენ არჩეული სახალხო მსაჯულებად.

უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპი—მოსამართლეთა არჩევითობა თავიდანვე ახასიათებდა საბჭოთა სასამართლო წყობილებას, მაგრამ სტალინურმა კონსტიტუციამ და კანონმა სასამართლო წყობილების შესახებ იგი კიდევ უფრო განავითარეს და განამტკიცეს.

სახალხო სასამართლოს შემადგენლობას (მოსამართლე და მსაჯულები) კონსტიტუციით დადგენილი წესის შესაბამისად ირჩევენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით.

თითქმის არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ ირჩევენ მოსამართლეებს. იქ ყოველი სახის სასამართლოში მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის (მაგალითად, საფრანგეთში), ან მეფის (ინგლისში, ბელგიაში) მიერ და მთლიანად დამოკიდებული არიან უკანასკნელთაგან. ცხადია, ასეთი მოსამართლეები სასამართლოს საქმიანობას წარმართავენ გაბატონებული ექსპლოატატორული კლასისათვის სასურველი მიმართულებით. მართალია, ამერიკის ზოგიერთ შტატში, კონსტიტუციის მიხედვით, მოსამართლეებს ირჩევენ. მაგრამ მოსამართლის თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტისა და საბჭოთა შესწორებების პუნქტობრივი განხილვა

პარიზი, 17 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელი სხდომის დასაწყისში, როგორც წინა სხდომაზე იყო დათქმული, კომიტეტმა განიხილა საკითხი თუ დღის წესრიგში რა ადგილზე უნდა დაისვას სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი პუნქტი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ჯესეპმა წინადადება შეიტანა ეს პუნქტი განხილულ იქნას მას შემდეგ, რაც დამთავრდება „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღებას რეგულირების, შეზღუდვისა და დაბალანსებული შემცირების" შესახებ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტისა და საბჭოთა შესწორებების განხილვა. ამასთან ჯესეპმა საბჭოთა კავშირის მიერ წაყენებულ ბრალდებებს „დაუსაბუთებელი" უწოდა.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ საკითხი, რომელიც შეტანილია გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დღის წესრიგში და გენერალური ასამბლეის უკანასკნელი პლენარული სხდომის დადგენილებით გადაცემულია პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად, დიდი და სერიოზული ყურადღების ღირსია.

— ამ საკითხს,—თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, თავიდან ვერ მოვიშორებთ ისეთი მსუბუქი და ლიტონი ფრაზებით, როგორის წარმოთქმის ნება დღეს აქ თავს მისცა ბ-ნმა ჯესეპმა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა ბრალდებანი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ თითქოს დაუსაბუთებელია. ეს ბრალდებანი მართალი და სავსებით დასაბუთებულია, და ჩვენ ამას დავამტკიცებთ მთელი რიგი ფაქტებით, რომლებსაც ბატონი ჯესეპები ვერსად გაექცევიან.

ა. ი. ვიშინსკიმ თქვა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია იმის წინააღმდეგი არ არის, რომ ეს პუნქტი განხილულ იქნას მას შემდეგ, რაც დამთავრდება დღის წესრიგში ამჟამად მდგომი საკითხის განხილვა.

შემდეგ კომიტეტმა განაგრძო დისკუსია სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის პუნქტებისა და ამ პროექტის საბჭოთა შესწორებების შესახებ.

პირველი გამოვიდა ბელორუსიის სსრ დელეგატი კ. ვ. კისელიოვი. მაგრამ, დაიწყო თუ არა ლაპარაკი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ჯესეპმა სცადა შეეწყვეტინებინა მისთვის სიტყვა, მოიმიზეზა რა ის, რომ ბელორუსიის დელეგატი ეხება „სამთა" რეზოლუციის პროექტის არა მარტო მორიგ პუნქტს, არამედ წინა პუნქტებსაც.

სსრ კავშირის დელეგატმა ა. ი. ვიშინსკიმ საკადრისი პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, რომელიც შეეცადა ხელი შეეშალა ბელორუსიის დელეგაციისათვის თავისი თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ვიშინსკიმ გაიხსენა, რომ წინა სხდომაზე ჯესეპი სამჯერ გამოვიდა და თავის სიტყვებში განსახილველი პროექტის თითქმის ყველა პუნქტს ეხებოდა.

— ვერ გამიგია,—თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, — რატომ შეეძლო ჯესეპს შეხებოდა ყველა პუნქტს და არა მარტო მორიგს, ხოლო ბელორუსიის დელეგაციის წარმომადგენელს არ შეუძლია შეეხოს პუნქტებს, რომლებიც შორდებიან დღევანდელი მორიგი პუნქტის ფარგლებს. ეს საკითხები დაკავშირებულია ერთმანეთთან, და ასეთი ხელოვნური შეზღუდვა სრულიად არასწორი იქნებოდა. მე მგონია, რომ რომელიმე ორატორისათვის ხელის შეშლა და შესაძლებლობის არ მიცემა ერთი მილიმეტრით გადაუხვიოს ამა თუ იმ პუნქტს,—ამის მომასწავებელია, რომ შევეცადოთ ჭეშმარიტების მიჩქმალვას და ჩვენი კამათის გაჭიანურებას, რაც ჩვენს საერთო ინტერესებს არ შეეფერება.

კომიტეტის თავმჯდომარე დაეთანხმა სსრ კავშირის დელეგატის აზრს. ამრიგად, ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ცდა — შესაძლებლობა არ მიეცა ბელორუსიის დელეგატისათვის წარმოეთქვა სიტყვა.

კისელიოვმა გაიხსენა, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ მოითხოვა სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის სარეზოლუციო ნაწილში შეტანილ იქნას პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ატომური იარაღის უთუო აკრძალვას და ამ აკრძალვის განხორციელებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ ატომის ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების კომისიამ მოამზადოს და უშიშროების საბჭოს განსახილველად 1952 წლის 1 თებერვალს წარმოადგინოს პროექტი კონვენციისა, რომელიც ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ატომური იარაღის აკრძალვის, მისი წარმოების შეწყვეტის, უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენებისა და ამ კონვენციის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ გენერალური ასამბლეის დადგენილებათა შესრულებას.

— ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომლებიც ნიღბავენ თავიანთ მისწრაფებას, რომ არა სურთ აკრძალონ ატომური იარაღის დამზადება და გამოყენება, — თქვა კისელიოვმა, — ავრცელებენ ვერსიას, თითქოს საბჭოთა კავშირი თავს არიდებს იმის აღიარებას, რომ საჭიროა კონტროლი ატომის ენერგიის წარმოებისადმი. ეს პროპაგანდა ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ გენერალისიმუსმა სტალინმა განაცხადა, რომ „საჭიროა მტკიცე საერთაშორისო კონტროლი" ატომის ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისადმი.

კისელიოვმა გაიხსენა, რომ ი. ბ. სტალინმა მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს ატომური იარაღის შესახებ „პრავდის" კორესპონდენტისადმი პასუხში აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირი მოითხოვს საერთაშორისო კონტროლის დაწესებას იმისადმი, რომ გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვის, ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტისა და უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნით გამოყენების შესახებ მთელი სიზუსტით და კეთილსინდისიერებით ხორციელდებოდეს. საბჭოთა კავშირი სწორედ ასეთი საერთაშორისო კონტროლის მომხრეა".

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს, მათ ნამდვილად არა სურთ არც ატომური იარაღის აკრძალვა, არც ასეთი აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესება. „კონტროლის" მათს გეგმას ამ ამოცანების გადაჭრასთან საერთო არა აქვს რა.

ბელორუსიის დელეგატმა დასასრულ განაცხადა, რომ მიღება საბჭოთა წინადადებისა ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი მტკიცე კონტროლის დაწესების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ამოცანაა. ამიტომ ბელორუსიის სსრ დელეგაცია მხარს უჭერს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილ შესწორებას, რომლის მიზანია ამ ამოცანის გადაჭრა.

შემდეგ გამოსულმა პაკისტანის დელეგატმა ზაფრულა-ხანმა განაცხადა, რომ ვერავითარი ცალმხრივი გადაწყვეტილება ამ საკითხზე სერიოზულ პრაქტიკულ შედეგებს ვერ მოგვცემს, თუ მას მხარი არ დაუჭირა ყველა დიდმა სახელმწიფომ, რომელთაც ყველაზე დიდი სამხედრო პოტენციალი აქვთ. ქვეკომიტეტში ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ ატომის ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების ერთიანი კომისიის შექმნაზე. მაგრამ ამ კომისიის საქმიანობა შეიძლება წარმატებითი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს თუ მას არ დაავალებენ გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილებანი მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნებისა და სურვილების შესაბამისად. აი ამიტომ, თქვა ზაფრულა-ხანმა, პაკისტანის დელეგაცია, ემყარება რა იმას, რომ ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შეთანხმება, რომელიც დამყარებულია ოთხი სახელმწიფოსათვის ურთიერთ მისაღებ საფუძველზე, თავს შეიკავებს სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტისა და საბჭოთა შესწორებების კენჭისყრაში.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ბარანოვსკიმ თავის გამოსვლაში დეტალურად და საფუძვლიანად გააკრიტიკა ყბადაღებული „ბარუხის გეგმა", რომელსაც სამი სახელმწიფოს დელეგაციები კვლავ ადგანან ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაციის სისტემის მიმართ. მან ცხადყო, რომ ეგრეთწოდებული საერთაშორისო კონტროლის მთელი ამერიკული გეგმა ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს — უზრუნველყოს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოში ამერიკის მონოპოლიების უპირატესი გავლენა და გადააქციოს ეს ორგანო ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობის პოლიტიკის განხორციელების იარაღად. ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის გადასინჯული პროექტიც არაფერს არ ცვლის ამ მხრივ. „უკრაინული ანდაზის არ იყოს, გოჭს ვერ გადააქცევ გოჭა თევზად,—შენიშნა უკრაინის დელეგატმა.—ბარუხის გეგმას, როგორც ეს უკვე დამტკიცდა, ატომური იარაღის აკრძალვის ამოცანასთან და ამ აკრძალვის შესრულებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებასთან საერთო არა აქვს რა".

ბარანოვსკიმ მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სინამდვილეში არა სურთ ატომური იარაღის აკრძალვა, არამედ, პირიქით, ცდილობენ გააფართოონ ატომური ბომბების წარმოება. ამას მოწმობს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ატომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარის სენატორ მაკმაგონის განცხადება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომური შეიარაღების წარმოებაზე ყოველწლიურად უნდა ხარჯონ 6 მილიარდი დოლარი 1 მილიარდი დოლარის ნაცვლად, რაც ამჟამად იხარჯება.

დასასრულ ბარანოვსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის სსრ დელეგაცია მთლიანად იზიარებს რა საბჭოთა კავშირის პოზიციას ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხში, მხარს უჭერს სამთა რეზოლუციის შესწორებებს, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა.

შეადარეს რა საბჭოთა შესწორებები სამი სახელმწიფოს პროექტის შესაბამის პუნქტებს, პოლონეთის დელეგატმა ვერბლოვსკიმ და ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა სეკანინოვამ ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მხოლოდ საბჭოთა წინადადებებს შეუძლიათ ნამდვილად უზრუნველყონ მშვიდობის უზრუნველყოფის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღების შემცირებისა და ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი მტკიცე კონტროლის დაწესების დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანების გადაჭრა.

ვერბლოვსკიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სამი სახელმწიფო და სსრ კავშირი ქვეკომიტეტში შეთანხმდნენ ატომის ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების ახალი კომისიის დაარსების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ჯესეპი, თქვა ვერბლოვსკიმ, ცდილობს ამ კომისიას თავს მოახვიოს, როგორც მისი მუშაობის საფუძველი, სამი სახელმწიფოს რეზოლუცია. ეს იმას ნიშნავს, რომ შევწყვიტოთ მეცადინეობა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებული პოზიციის მიღწევისათვის. პოლონეთის დელეგაციას მიაჩნია, რომ საჭირო არ არის წინასწარ განესაზღვროთ ატომის ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების კომისიას მუშაობის ყველა დეტალი, ვიწრო ჩარჩოებში მოვაქციოთ ეს კომისია და ხელ-ფეხი შევუკრათ მას.

ამასთან დაკავშირებით ვერბლოვსკიმ კომიტეტის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეიცავს წინადადებას — გადაეცეს ატომის ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების კომისიას განსახილველად როგორც დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი, ისე ამ პროექტის შესწორებები, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა.

დღევანდელ სხდომაზე დამთავრდა სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტისა და საბჭოთა შესწორებების პუნქტობრივი განხილვა.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ უფლება დაიტოვა ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია სამი სახელმწიფოს რეზოლუციის მთელი გადასინჯული პროექტის მიმართ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ეწეოდნენ თავდაცვით ბრძოლებს. ამასთან დიდ ზარალს აყენებდნენ ამერიკულ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

ცენტრალურ და დასავლეთის ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

სახალხო არმიის არტილერიის ნაწილებმა, რომლებიც დასავლეთის სანაპიროს იცავენ, ჩაძირეს მოწინააღმდეგის 1 ხომალდი და ძლიერ დააზიანეს ერთი საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც ბარბაროსულად უშენდა არტილერიას მშვიდობიან მოსახლეობას ქალაქ ანრიუნის მახლობლად.

ავტონომიური რაიონები ჩინეთში

პეკინი, 18 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

დღეისათვის ჩინეთში, იმ ადგილებში, სადაც ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობენ, შექმნილია 100-ზე მეტი ავტონომიური რაიონი. შიდა მონღოლეთის ავტონომიური რაიონის გარდა, რომელიც უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ყველა დანარჩენი ავტონომიური რაიონი შეიქმნა ორი გასული წლის მანძილზე. ეროვნულ უმცირესობებს ახლა აქვთ თავიანთი შემდეგი ავტონომიური რაიონები: მონღოლებს—ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და სუიუანის პროვინციაში, ტიბეტელებს — სიკანის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩინელ მუსლიმანებს, ეროვნებებს მიაო, ი, იაო—ჩინეთის სხვა რაიონებში. ოროჩონებსაც კი, რომელთა რიცხვი ათას კაცს არ აღემატება, აქვთ თავიანთი ეროვნული ავტონომიური რაიონი.

იმ რაიონებში, სადაც ერთად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნული უმცირესობანი, შექმნილია ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურის 163 ადგილობრივი ორგანო, რომლებშიც შედიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. იმ ადგილებში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა უმნიშვნელოა, მათი წარმომადგენლები შედიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, და, ამრიგად, უზრუნველყოფილია ამ ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებების ჯეროვნად განხილვა.

ავტონომიისა და ერთობლივი მართვის დაწესებას იმ რაიონებში, რომლებიც დასახლებულია მრავალი ეროვნული უმცირესობით, მხურვალედ უჭერს მხარს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც გომინდანის დროს სასტიკ ეროვნულ დისკრიმინაციასა და ჩაგვრას განიცდიდა.

საბჭოთა მეზღვაურების კეთილშობილი და თავგანწირული მოქმედება

ჰააგა, 18 დეკემბერი. (საკდესი). როტერდამში ჩავიდა ხე-ტყით დატვირთული ორი საბჭოთა გემი „იმანდრა" და „სივაში". „იმანდრის" საბჭოთა მეზღვაურებმა ჰოლანდიაში ჩასვლამდე გზაში გადაარჩინეს ბელგიის გემის „ჟან მარის" ეკიპაჟი. ეს გემი ბალტიის ზღვაში დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით ბელგიის ამსტერდამში კონსულმა ინახულა საბჭოთა გემის „იმანდრას" ეკიპაჟი და თავისი მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეზღვაურებს მათი კეთილშობილური და მამაცური მოქმედებისათვის ბელგიის გემის ეკიპაჟის გადარჩენის დროს.

ახალი კანონპროექტები ეგვიპტეში

კაირო, 18 დეკემბერი. (საკდესი). დეპუტატთა პალატის გუშინდელ სხდომაზე იურიდიულ კომისიას გადაეცა კანონპროექტი, რომელიც გმობს ინგლისელებთან თანამშრომლობას. კანონპროექტით გათვალისწინებულია სამოქალაქო უფლებების აყრა ყველა ეგვიპტელისათვის, რომელიც ინგლისელებთან თანამშრომლობს, აგრეთვე ეგვიპტეში ცხოვრების უფლების ჩამორთმევა უცხოელებისათვის, რომლებიც ინგლისელებთან თანამშრომლობენ.

ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილებანი

კაირო, 18 დეკემბერი. (საკდესი). ეგვიპტის მინისტრთა საბჭოს 16 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც სახელმწიფო ტერიტორია, რომელიც იჯარით ჰქონდა გადაცემული ინგლისის სასპორტო კლუბ „გეზირას", გადაქცეულია საზოგადოებრივ საკუთრებად.

ეგვიპტის მთავრობის სხვა გადაწყვეტილება იწონებს სახელმწიფო ბეჭდის შეცვლას, რომელიც ამიერიდან წაიკითხება: „ეგვიპტისა და სუდანის მეფე".

ანტიინგლისური დემონსტრაციები სუდანში

კაირო, 18 დეკემბერი. (საკდესი). სუდანის ჩრდილოეთ პროვინციების ქალაქთა მოსახლეობა ინგლისის გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ამჟამად მოგზაურობს ამ პროვინციებში, ხვდება საპროტესტო მიტინგებითა და დემონსტრაციებით სუდანში ინგლისის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.

გაზეთ „ალ-აჰრამის" ხართუმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ქალაქ ბერბერში გენერალ-გუბერნატორის ამ ქალაქში ჩასვლის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაიმართა დიდი დემონსტრაცია. დემონსტრანტები გაიძახოდნენ ინგლისის საწინააღმდეგო ლოზუნგებს, მოითხოვდნენ ინგლისის შეიარაღებული ძალების გაყვანას ნილოსის ველის ქვეყნებიდან და მიესალმებოდნენ ეგვიპტელი ხალხის ბრძოლას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გაზეთ „ალ-მისრის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ქალაქ ბერბერიდან გენერალ-გუბერნატორის გამგზავრების დროს მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს რკინიგზის სადგურზე და ქვები დაუშინეს მატარებელს, რომელშიც ივი იყო. კორესპონდენტი იუწყება, რომ ასეთივე საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ ედდამერში ინგლისის გენერალ-გუბერნატორის ჩასვლასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა არ გაჩერებულიყო ამ ქალაქში და ვერც კი გაბედა გამოსულიყო მატარებლიდან.

საბერძნეთის აზბესტის მაღაროები ამერიკის კომპანიებს გადაეცა

სოფია, 18 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საბერძნეთის ხელისუფლებმა ამერიკის კომპანიებს საექსპლოატაციოდ გადასცეს აზბესტის მაღაროები. გაზეთ „დემოკრატიკის" ცნობით, საბერძნეთის მთავრობა უკვე დათანხმდა ხელშეკრულება დადოს ამერიკის კომპანია „კენეკოტთან", რომელიც განახორციელებს კოზანის აზბესტის მაღაროების ექსპლოატაციას.

გაიხსნა სათხილამურო სეზონი

ბაკურიანი. (საქ. კორ.). 16 დეკემბერს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ბორჯომის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო 1951-1952 წლის სათხილამურო სეზონის გახსნა ბაკურიანში. ამ დღეს გაიმართა შეჯიბრება სარაიონო პირველობაზე რბენაში და მთიდან სწრაფ დაშვებაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 100-მა მოთხილამურემ. გოგონებიდან 3 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ბაკურიანელმა ვერა გავამ, მეორე ადგილი—თინა დიაკონაშვილმა; ვაჟებიდან 5 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ვლადიმერ კოზანაშვილმა, მეორე ადგილი—თენგიზ კუპრაძემ. მთიდან სწრაფ დაშვებაში პირველ ადგილზე გამოვიდა სიკო ჯეირანაშვილი, ხოლო მეორეზე—მიხეილ გოცირიძე.

ამჟამად ბაკურიანში ჩამოსულია და საწვრთნელ მეცადინეობას გადის საბჭოთა კავშირის 450 საუკეთესო მოთხილამურე. მათ შორის არიან ცნობილი სპორტსმენები.

1952 წლის 1-დან 10 იანვრამდე ბაკურიანში მოეწყობა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, მთიდან სწრაფ დაშვებაში და სხვ.

ბაკურიანის სასპორტო ბაზები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ სათხილამურო სეზონს.

საკავშირო პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში

18 დეკემბერს თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის 1951 წლის გუნდურ პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის და ლენინგრადის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდები 10 მამაკაცისა და 8 ქალის შემადგენლობით. მონაწილეთა შორის 134 სპორტის ოსტატია.

შეჯიბრების პირველ დღეს მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა საბჭოთა კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა მ. გოროხოვსკაიამ (უკრაინა), რომელმაც 36,8 ქულა მოაგროვა. ამასთანავე მან თავისუფალ ვარჯიშში ყველაზე უკეთესი შეფასება მიიღო (9,7 ქულა).

კარგად ვარჯიშობს აგრეთვე უკრაინელი ოსტატი ნ. ბოჩაროვა (36,15 ქულა). ჯერჯერობით მესამე ადგილზე მიდის საქართველოს გუნდის წარმომადგენელი სპორტის ოსტატი მ. ჯუღელი (35,95 ქულა). აღსანიშნავია, რომ სპორტის ოსტატის წოდებისათვის დაწესებული ნორმის (7,5 ქულა) შესრულების შესაძლებლობა ჯერჯერობით მხოლოდ ამ სამ სპორტსმენს აქვს.

პირველ თანრიგოსანთა შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვა აზერბაიჯანელმა ე. ალექსანდროვამ, რომელმაც 60 შესაძლებლიდან მოაგროვა 56,2 ქულა. მას მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩნენ ლიტველი ი. სტრელცოვი და ვ. აკოპიანი (სომხეთი). შეჯიბრება გრძელდება.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საერთო სათაურით „სანიმუშოდ დავამთავროთ არჩევნებისათვის მზადება" წერილები: საარჩევნო პუნქტებში. ახალგაზრდა ამომრჩევლებთან. საყოველთაო პატივისცემა. ტყიბულელ მეშახტეთა კანდიდატები. სოფლის აგიტპუნქტი. წინასაარჩევნო აგიტაცია.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში.

მ. ტულუში — ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით. პ. კრასინსკი — ციკლური გრაფიკი მოქმედებაში.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ვ. კაკაბაძე — ბუტლეროვი და მისი ქიმიური აღნაგობის თეორია.

მესამე გვერდი — ამომრჩევლის სახსოვარი—სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების ორგანიზაცია.

გ. ბონდარენკო — გამოუყენებელი შესაძლებლობანი. ვ. ძასოხოვა — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები.

ა. ტკაჩენკო — მებრძოლ კორეაში. მკითხველთა წერილები.

მეოთხე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიული სასამართლოა მსოფლიოში

(დასასრული)

ისეთ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს (განათლების და ქონებრივი ცენზი, „პოლიტიკური კეთილსაიმედოობა" და სხვა), რომ მშრომელთა წრიდან გამოსული პირისათვის მოსამართლის თანამდებობის დაკავება გამორიცხულია. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლის თანამდებობა იმდენად სარფიანად ითვლება, რომ მას ფაქტიურად ყიდულობენ.

აი როგორ აღწერს თანამედროვე მწერალი ჰოვარდ უიტმენი ამერიკის სასამართლოს ზნესა და წესებს: „მოსამართლეთა შორის განსაცვიფრებელი რაოდენობა არაკომპეტენტური ადამიანებია, უქნარა, პოლიტიკურად უნიათო, თაღლითები და გაიძვერები... ზოგიერთ მოსამართლეს სძინავს მაგიდაზე, მეორენი ლოთებია". უიტმენის მტკიცებით, ერთმა საქმოსანმა მოსამართლედ „არჩევას" მიაღწია იმით, რომ ამომრჩეველ ქალებს უხვად ასაჩუქრებდა აბრეშუმის ჩულქებით და პარფიუმერიის საგნებით. სასამართლოს ერთ-ერთი მოხელე თავმომწონედ აცხადებდა, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა 50 ათას დოლარად „ეყიდა" თავისთვის ნიუ-იორკის შტატის უმაღლესი სასამართლოს წევრის თანამდებობა.

იქ, კაპიტალისტურ სამყაროში, მოსამართლეს სრულიად არ მოეთხოვება მაღალი ზნეობა და სათანადო იურიდიული განათლება. ცნობილი ნიუ-იორკელი ადვოკატის ებრეჰემსის სიტყვით, „მოსამართლედ რომ გახდე, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა იცით თქვენ, არამედ ის, თუ ვის იცნობთ".

მარტო საბჭოთა კავშირში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, არის დადგენილი მოსამართლეთა ნამდვილი არჩევითობა ფართო დემოკრატიულ საწყისებზე.

საბჭოთა სასამართლო, წარმოადგენს რა ნამდვილად სახალხო, უაღრესად დემოკრატიულ სასამართლოს, მთელ თავის მუშაობას ხალხის მონაწილეობით და უშუალო თანადასწრებით აწარმოებს. როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეები მუდამ ფართო მასების თვალწინ ირჩევა.

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა საქმეთა საქვეყნოდ, საჯაროდ განხილვას, სასამართლოს სხდომაზე რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოქალაქეთა დასწრებას, პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების პრესაში გამოქვეყნებას.

სასამართლოს საჯარო სხდომას, ჩატარებულს მაღალ კულტურულ დონეზე, საპროცესო კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის სრული შესაბამისობით, პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს მოქალაქეთა აღზრდის ამოცანასთან. საქმის განხილვის ასეთი წესი განამტკიცებს რა მშრომელთა შორის საბჭოთა სახელმწიფოებრივ დისციპლინას, საბჭოთა კანონისადმი პატივისცემის გრძნობას, ზრდის აგრეთვე მათს რევოლუციურ სიფხიზლეს.

საჯაროობას, სასამართლოში საქმის ღიად გარჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს „ქურდბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და გარშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფეროს" შექმნისათვის, რაზეც მიუთითებდა ამხანაგი სტალინი მოხსენებაში ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1926 წელს.

საქმის საჯაროდ განხილვა ხალხის მიერ თვით სასამართლოს მუშაობისადმი ზედამხედველობის, მისთვის კონტროლის გაწევის ერთ-ერთი საშუალებაც არის. სასამართლო სხდომაზე დამსწრე მოქალაქენი მთელი პროცესის განმავლობაში მეთვალყურეობას უწევენ მათ მიერ არჩეული მოსამართლის მოქმედებას, ამოწმებენ მას, თუ რამდენად ასრულებს იგი მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

სტალინური კონსტიტუცია და სასამართლო წყობილების კანონი უზრუნველყოფენ ბრალდებულის უფლებას—დაიცვას თავი.

ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა სასამართლოში ბრალდებულის დაცვის საკითხი კონსტიტუციურ პრინციპად არის გადაქცეული. ჩვენს ქვეყანაში პარტია და ხელისუფლება სათანადოდ ზრუნავენ იმისათვის, რომ საბჭოთა მოქალაქის უფლება არ შეილახოს, რომ აცილებულ იქნას ყოველგვარი შესაძლებლობა მისი უმართებულოდ გასამართლებისა და დასჯისა.

ბრალდებულის უფლება — დაიცვას თავი, რეალური გამოხატულებაა ადამიანისადმი სათუთი დამოკიდებულებისა.

თუ საბჭოთა კავშირში ადამიანის ღირსებისა და პატივისათვის ზრუნვა პირველხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული, კაპიტალის ქვეყნებში აბუჩად არის აგდებული არა მარტო ბრალდებულის უფლება — დაიცვას თავი, არამედ საერთოდ ყოველი პატიოსანი ადამიანის შრომის უფლება, ცხოვრების უფლება. იქ დაცვას და მფარველობას პოულობენ განგსტერები და მძარცველები, ხოლო სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან მშრომელთა წრიდან გამოსული ბრალდებულნი, რომელთაც არ გააჩნიათ საკმაოდ დიდი სახსრები თავის დასაცავად, ადვოკატთა ასაყვანად და „სასამართლო ხარჯების" გასაწევად.

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე აირჩევენ სახალხო მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს.

ეჭვი არ არის, რომ სახალხო სასამართლოებში არჩეული იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი უმწიკვლო მუშაობით უზრუნველყოფენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების და სხვა დამნაშავეების სასტიკად დასჯას და ამავე დროს ყოველი პატიოსანი მოქალაქის უფლებისა და ინტერესების საიმედო დაცვას.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

21 დეკემბერს

6.25 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. 8.20—კომპოზიტორ გოკიელის „სიმღერა ბელადზე". 10.30 — ქართველი პოეტების ლექსები დიდ სტალინზე. 11.30 — სიმფონიური მუსიკა. 16.30 — კონცერტი მოსკოვისათვის. 17.15 — სიმღერები სტალინზე, სამშობლოზე და მშვიდობაზე. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.30 — ქალაქის ქსელით — კონცერტი დების იმხნელების შესრულებით, რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ნაკაშიძის შესრულებით. 21.00 — ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად. 21.50 — ქართული ხალხური სიმღერები. 22.30 — ლიტერატურული გადაცემა. 22.50 — რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტი № 3. 00.05 — საბჭოთა კომპოზიტორების ვალსები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედების ტბა (მე-3 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — ოტელო; **მარჯანიშვილის სახელობის** — მეთორმეტე ღამე; **გრიბოედოვის სახელობის**—დირექტორი (26-ე, 27-ე აბ.); **სომხური დრამის**—ჩაძირული ქვები; **მუსიკალური კომედიის** — როზ-მარი (მე-10 აბ.); **სანკულტურის**—საპატიო სტუმარი; **სახფილარმონია** — კომპოზიტორთა შემოქმედებითი კონცერტი კნიპერის და ბაბაჯანოვის მონაწილეობით; **ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „ისანი", „კოლხიდა" — ტარას შევჩენკო; **„ოქტომბერი", „სპარტაკი", 26 კომისრის სახელობის**—პატარა დედა; **„კომკავშირელი"**—ახალგაზრდა პარტიზანები; **„კოლმეურნე"**—ყუბანელი კაზაკები; **„დიდუბე"** — ჭაბუკი ტაიგიდან; **„თბილისი"**—უკანასკნელი ღამე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, 1952 წლის 8 იანვარს, დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 10) **ულიანა გორდეის ასული ფილი** — ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**Фармакогностическое значение заячьей капусты**".

ოფიციალური ოპონენტები — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ე. ი. აბოლი და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი ვ. ე. შოთაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მიიღება ხელისმოწერა 1952 წლისათვის

გაზეთებზე

„კომუნისტი"
„ახალგაზრდა კომუნისტი"
„ნორჩი ლენინელი"
„ლელო"

ჟურნალებზე

„ბოლშევიკი"
„აგიტატორის ბლოკნოტი"
„დროშა"
„ნიანგი"

ხელმოწერას მიიღებენ: კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, საკოლმეურნეო წერილების დამტარებლები და გამოცემათა საზოგადოებრივი გამავრცელებლები ფაბრიკებში, ქარხნებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

გამომცემლობა „კომუნისტი"

მოქალაქე **ალფეტინა ალექსანდრეს ასულმა შეშინამ**, მცხოვრებმა ფაბრიკის შესახვ. № 6, აღძრა საქმე შაუმიანის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **ივანე ივანეს-ძე დრუჟინინთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ოქროპირ და ნოე ოჯახებით, შვილიშვილი რუსუდან, სიძე კოკო გუჯაბიძე იუწყებიან **ესმა ალექსანდრეს ასულ ბურძგლას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-XII, 8 ს. გამოსვენება 22-XII, 4 ს. ბელინსკის, 2.

მეუღლე ირაკლი, შვილები გოგი, კოლია, მიშა, სპირიდონ, დები ნინო, სონა, ძმები გოლა, თეოფილე, რძლები და შვილიშვილები იუწყებიან **მარიამ ალექსის ასულ რაზმაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-XII, 7 ს. გამოსვენება 22-XII, 3 ს. კალეთის, 16.

ქალაქ თბილისის საბინაო სამმართველოს სარემონტო სამშენებლო კანტორის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ილია ანტონის-ძე მეგრელიშვილის** გარდაცვალებას.

რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან **პახიკო ანტონის ასულ ქათამაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII, ს. ივანდიდში (წულუკიძის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05724